პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ს. ა. კ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—53.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

წლის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. წლის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ნარვეტ-ბით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩვრ. განცხადებები მეორე ნომერში მიიღება მხოლოდ ორ საათ.

№ 39 (891) შაბათი, 16 თებერვალი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 39 (891)

დღიური

რომში გაიხსნა საზღვაო „განიარაღების“ კონფერენცია. დელეგატებს შორის არის საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი.

რომის გაზეთების ცნობით საბჭოთა კავშირის ელჩად იტალიაში დანიშნული იქნება ამხ. ლუნაჩარსკი.

პოლონეთის ადმინისტრაცია სასტიკად სდევნის პოლონეთში მცხოვრებ ბელორუსებს.

მექსიკის აჯანყებულები საბოლოოდ დამარცხდნენ.

აგრონომიული პროპაგანდისთვის

საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური აღორძინება დღეს ყველასათვის თვალსაჩინო გახდა. მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა რკალში მომწყვდეულებმა ჩვენ საკუთარი ძალებით შევსძელით შედარებით მოკლე ხანში საერთაშორისო და სამოქალაქო ომის დროს დაზიანებულ-განადგურებულ მეურნეობის ფეხზე წამოყენება.

სულ ცოტა ხნის წინედ, როდესაც ჩვენი მოწინააღმდეგეები დარწმუნდენ შეიარაღებული ძალებით და ინტერვენციით ჩვენი დამარცხების შეუძლებლობაში, ისინი თავს ინუგეშებდენ ჩვენი აუცილებელი მოსალოდნელი ეკონომიურ-ფინანსიური კრახით, ჩვენი მომავალი დამარცხებით ეკონომიურ ფრონტზე. მაგრამ აქაც გაუცრუვდათ იმედები როგორც შინაურ კონტრ-რევოლიუციონერებს, ისე ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს. საბჭოთა კავშირის ძლიერებას და სიმტკიცეს დღეს ისინიც ანგარიშს უწევენ; სულ ათიოდე დღის განმავლობაში საბჭოთა კავშირი იურიდიულად იქნა ცნობილი ინგლისის, იტალიის და ნორვეგიის მიერ. მათ მაგალითს მალე დანარჩენებიც მიბაძვენ და ჩვენ შევალთ საბჭოთა ქვეყნების აღმშენებლობის ახალ პერიოდში, როდესაც ჩვენ ნორმალური ურთიერთობა გვექნება საზღვარგარეთელ სახელმწიფოებთან.

პირობები როგორც მრეწველობის, ისე სასოფლო-მეურნეობის განვითარებისთვის უმჯობესდება და მთელი ჩვენი ენერგია იქეთ უნდა იქნეს მიმართული, რომ სათანადოთ ვისარგებლოთ ამ პირობებით. ამიერ-კავკასია და საქართველო უმთავრესად სასოფლო-მეურნეობის ქვეყნებია და, როგორც მთელ რიგ თათბირებზე და საბჭოთა ყრილობებზეც იყო აღნიშნული, ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ შევსძლოთ ჩვენი სასოფლო მეურნეობის სათანადო დონემდე აყვანა, პირველყოფილი ხასიათის მეურნეობიდან მეურნეობის უმაღლეს ფორმებზე გადასვლა.

რასაკვირველია, ეს ხანგრძლივ სისტემატიურ მუშაობას მოითხოვს. და ჩვენ უნდა შევსძლოთ მისი შესრულება. საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა გლეხობას მიწა, გადასჭრა აგრარული საკითხი და ისევე სცდილობს მისცეს გლეხობას ამ მიწის დამუშავების და სარგებლობის საუკეთესო საშუალებები. აგრონომიულ ცოდნათა გავრცელება გლეხობაში არასოდეს ისე საჭირო არ ყოფილა, როგორც დღეს. საბჭოთა აგრონომია უნდა გახდეს გლეხობასთან მჭიდროთ დაკავშირებულ ორგანიზაციათ, ის უნდა გასცილდეს კანცელიარია-კაბინეტებს, შეიჭრას ღარიბ გლეხობის ქოხებში.

წარსულში ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა, აგრონომია გლეხობას მდიდარ მემამულეთა მოსამსახურეთ ყავდა წარმოდგენილი და თვითონ კი მხოლოდ მამაპაპათა მიერ ნაანდერძევ ადათ-წესებით და იარაღებით ამუშავებდა მიწას. დღეს კი შრომა და მეცნიერება ერთმანეთს უნდა დაუკავშირდეს და საერთო გზით გასწიონ წინ ახალი ქვეყნისაკენ.

სოფლად მეურნეობის ახალი ფორმების შეტანაში დიდი როლი უნდა ითამაშონ ჩვენი პარტიის და ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედებმა. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ცირკულიარის თანახმად, რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში იყო დაბეჭდილი, სოფლის უჯრედების წევრებმა უნდა გაიარონ ორკვირეული სასოფლო-სამეურნეო კურსები. აგრარულ პროპაგანდის ჩატარებაში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ სკოლებმა, ქოხ-სამკითხველოებმა, ბიბლიოთეკებმა და სხვა. უნდა მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო წრეები კულტშეფობა სოფლებზე, გლეხთა ყველა კრებებზე და თათბირებზე უნდა კეთდებოდეს სამეურნეო კითხვებზე სათანადო მოხსენებები ერთი სიტყვით მთელი ჩვენი აპარატი სოფლად და აგრეთვე ცენტრში გამოყენებულ უნდა იქნას მიწის მუშათა შორის აგრონომიულ ცოდნათა გავრცელებისთვის.

ყოველი მუშაობა, ყოველი კამპანია, რასაკვირველია, სათანადო გეგმას მოითხოვს და ეს გეგმა გამომუშავებულ იქნება რესპუბლიკებას ცენტრალური კომიტეტების მიერ. სოფლად მომუშავე ამხანაგებმა კი ადგილობრივ პირობებთან და საშუალებებთან შეფარდებით ხელი უნდა შეუწყონ ამ გეგმის ცხოვრებაში გატარებას.

საბჭოთა მეურნეობებმა, სადაც კი ასეთები არსებობენ, უდიდესი როლის შესრულება უნდა იკისრონ. მაგალითი საუკეთესო საშუალებაა აგრონომიულ ცოდნათა გავრცელებისათვის; ეს მაგალითი და გამოცდილება საბჭოთა მეურნეობებმა უნდა გაუზიარონ გლეხობის ფართო მასებს. ამასთანავე ერთად გამოშვებულ იქნება სათანადო ლიტერატურა, რომელიც გააშუქებს მეურნეობის სხვადასხვა დარგების ახალ ფორმებს, ახალ მიღწევებს. ეს ლიტერატურა აუცილებლათ შერჩეულ უნდა იქნას ადგილობრივ პირობების, ნიადაგის და ჰავის მიხედვით. ადგილობრივ ბუნების თვისებებს უაღრესი მნიშვნელობა აქვს მეურნეობის ამა თუ იმ კულტურის გავრცელებისთვის და ეს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. ის, რაც სავარგისია ერთ რესპუბლიკაში ან მის ნაწილში, სრულებით გამოუსადეგარია სხვა ადგილებში.

ყოველივე ამისთვის სრული ანგარიშის გაწევით და აგრონომიული ცოდნათა გავრცელების დიდი მნიშვნელობის სრული შეგნებით ენერგიულად შევუდგეთ ჩვენი სასოფლო მეურნეობის ამაღორძინებელ მუშაობას.

„ტანტიემები“. დასაჩუქრება...

ბევრი ძველი ჩვეულება დაგვრჩა. ვერ შევძელით ყველაფერის გადახალისება. ხშირათ ვიქცევით ისე, რაც არ შეეფერის ახლანდელ მდგომარეობას. ვიხედებით უკან და რაიმე ახალი მოვლენის გამართლებას და ახსნას ვეძებთ წარსულ დროში. ხანდახან წამხედურობაც გვძლევს და მივმართავთ ხოლმე ისეთ ზომებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ წინეთ იმისდამიუხედავათ არიან ახლანდელ პირობებისათვის ისინი შესაფერისი თუ არა.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ უნდა ითქვას, რომ მხედველობაში მაქვს ჩვენი მუშაობის არა საერთო მიმართულება, არამედ მისი ცოტათ თუ ბევრათ უმნიშვნელო მხარეები. მაგალითად ამ წერილში მინდა მკითხველების ყურადღება მივაქციო შემდეგ მოვლენას.

ჩვენს სამეურნეო ორგანოებში და საბჭოთა დაწესებულებებში შემოღებულია პრაქტიკაში ამა თუ იმ მომუშავის განსაკუთრებულ შემთხვევებში დასაჩუქრება. არსებობს აგრეთვე „ტანტიემების“ გაცემა.

თვით სიტყვა ტანტიემა ნიშნავს მოგების პროცენტს. ის წარმოშობილია კერძო კაპიტალისტურ წარმოებაში. კერძო მწარმოებლები აძლევდენ მოგების პროცენტს წარმოების ადმინისტრაციას—ქარხნის დირექტორებს, ტრესტების მართველებს და სხვა მსხვილ ჩინოვნიკებს. ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მაგალითად, რომ ერთი მოხელის მიერ მიღებული „ტანტიემა“ უდრიდა ასი და ორასი მუშის თვიურ ქირას. ეს მაშინდელ დროისათვის უნდა ჩაითვალოს ნორმალურ მოვლენათ, მაგრამ ახლა—საბჭოთა წესწყობილების დროს კი ფრიად არანორმალურად.

თვითეული წარმოება, სავაჭრო ორგანო, ტრესტი, სინდიკატი წარმოადგენს ჩვენი სახალხო მეურნეობის ერთეულს. ყველა მათგანი საბჭოთა რესპუბლიკის—მუშათა სახელმწიფოს განუყრელი ნაწილია. მათი მოგებაც საერთოა და ეკუთვნის სახელმწიფოს სათავეში მდგომ მუშათა კლასს მთლიანად. საწარმოო ერთეულების გადაყვანა ეგრედწოდებულ სამეურნეო ანგარიშზე არ ნიშნავს იმას, რომ ისინი სრულიად დამოუკიდებელი არიან. სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანას მხოლოდ ის აზრი ჰქონდა, რომ წვრილმანი ზედამხედველობიდან და ჩარევიდან გაეხთავისუფლებიათ საწარმოო ერთეულები. თვითეული წარმოების და სავაჭრო ორგანოს მოგების ნაწილი მიდის ამავე წარმოების და ვაჭრობის საქმის გასაფართოებლათ, დანარჩენი ნაწილი კი გადადის სახელმწიფოს ხელში, როგორც ამ მოგების მესაკუთრის. აქედან ადვილია იმ დასკვნის გამოტანა, რომ ცალკე სამეურნეო ერთეულების მიერ წარმოების ადმინისტრაციის წევრების მოგების პროცენტებით („ტანტიემა“) დაჯილდოვება არ უნდა იქნეს დაშვებული. სახალხო მეურნეობის მოგება, როგორც ასეთი, საერთოა და ცალკე პირების პროცენტული დაჯილდოვება ამ მოგებიდან არ შეიძლება.

რომ „ტანტიემის“ გაცემა დასაშვებიც იყოს, ჯერ კიდევ არ შექმნილა ამისთვის ჩვენ მეურნეობაში სათანადო პირობები. ცალ-ცალკე ზოგიერთი წარმოებანი იძლევიან მოგებას, მაგრამ საერთოდ მთელი მეურნეობა კი ჯერჯერობით არა. ამიტომ ჩვენ ვერ წავხედავთ ამ საკითხში კერძო კაპიტალისტურ წარმოებას. იქ, სადაც „ტანტიემების“ გაცემა შემოღებულია, დროებით უნდა შეჩერდეს. მოუცადოთ უფრო ხელსაყრელ დროს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენმა ზოგიერთმა სამეურნეო ორგანოებმა არა თუ გადმოიღეს კერძო კაპიტალისტებისაგან „ტანტიემის“ გაცემის ჩვეულება, არამედ კიდეც გადააჭარბეს მათ. თუ კერძო მწარმოებლები „ტანტიემებს“ თავიანთ მოხელეებს აძლევდენ—ეს იყო მხოლოდ მოგების დროს; ჩვენი ზოგიერთი სამეურნეო ორგანო კი ამ შემთხვევაში უხვია და „ტანტიემებს“ არიგებს მაშინაც, როცა მოგება სრულებით არ არის. ალბათ მათ არ იციან, რომ სიტყვა „ტანტიემა“ ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ „მოგების პროცენტს“ და სხვას არაფერს.

გადავიდეთ ახლა საჩუქრებზე და სპეციალურ დავალებების დაჯილდოებაზე.

საჩუქარის და ჯილდოს რაოდენობა უფრო მცირეა, ვიდრე „ტანტიემის“. ერთი „ტანტიემის“ რაოდენობა უდრის რამოდენიმე ათეული მუშის თვიურ ხელფასს. საჩუქარის გაცემა კი უფრო ნაკლები რაოდენობით ხდება.

აღსანიშნავია, თუ რა შემთხვევებში ასაჩუქრებენ ამა თუ იმ მომუშავეს (უმეტესათ მაღალი კვალიფიკაციისას). დასაჩუქრება ხდება სხვადასხვა შემთხვევების გამო. **უმეტეს ნაწილათ ასაჩუქრებენ ისეთ სამუშაოს შესრულებისთვის, რომელიც უნდა შესრულებული იქნეს ჩვეულებრივი სამუშაოს წესით.** ავიღოთ მაგალითად საბჭოთა დაწესებულება—სახალხო კომისარიატი. ხშირად ხდება უწყების დარგში გამოცემულ კანონმდებლობათა კოდიფიკაცია, სისტემაში მოყვანა და წიგნათ გამოცემა. ამ მუშაობას ასრულებს უმეტეს ნაწილად ამ უწყების იურისკონსულტი ან სხვა რომელიმე პირი მუშაობა ამისათვის სწარმოებს ჩვეულებრივ სამუშაო საათებში, რაც ჯილდოვდება ჩვეულებრივი ჯამაგირით. მაგრამ, როცა კოდიფიკაცია დამთავრებულია და წიგნათ გამოცემული, უწყების ხელმძღვანელი აჯილდოებს ამ პირს სპეციალური საჩუქრით. ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ორმაგ დაჯილდოვებას იმ სამუშაოს შესრულებისათვის, რომელიც ამ მოსამსახურის **პირდაპირ მოვალეობას შეადგენს.**

საერთოდ ხშირად ხდება ისეთი მუშაკების ზედმეტი დაჯილდოვება, რომელნიც პირნათლად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. უნებლიეთ ეკითხები თავს,—თუ არ შეასრულა დავლება ან უპიროთ ეწევა მუშაობას? ცხადია, ასეთ მომუშავეს ტყუილად არ მისცემენ ჯამაგირს და დაითხოვენ. მაშ რატომ ხდება ჯამაგირის გარეშე დასაჩუქრება ისეთი მუშაკების, რომელნიც პირნათლად ასრულებენ იმ მოვალეობას, რომლისთვისაც დაქირავებული იყვნენ?

ამის მიზეზი ახლო წარსულში უნდა ვეძიოთ. რევოლიუციის პირველ წლებში, როცა ყველაფერი დანგრეული იყო და ნორმალური მუშაობა შექმნილი პირობების გამო შეუძლებელი, საქმის და დავალების სწორათ და პირნათლად ასრულება იშვიათ შემთხვევად გადაიქცა. ყველაფერს ხელს უშლიდა ობიექტიური პირობები, როგორადაც უბრალო არ უნდა ყოფილიყო საქმე. ამიტომ რაიმე საქმის დამთავრება დანიშნულ დროზე და დასახულ გეგმით, შრომის გმირობათ ცხადდებოდა. ასეთი პირებს წითელ დაფაზედაც აღნიშნავდენ. მათ ჯამაგირის გარდა დასაჩუქრებასაც აზრი ჰქონდა.

ახლა კი პირობები შეიცვალა. ყველაფერი ჩადგა შედარებით ნორმალურ კალაპოტში. ხელის შემშლელი პირობებიც მინიმუმამდე დავიდა. საქმის და დავალების ასრულება ახლა უნდა მოვნათლოთ არა შრომის გმირობად, არამედ დაკისრებულ მოვალეობის აღსრულებათ და, როგორც ასეთი, ის არავითარ დასაჩუქრებას და წითელ დაფაზე შეტანას არ თხოულობს. პირიქით, ყველას უნდა მოეთხოვოს დავალების სწორათ და დროზე შესრულება. ნამდვილად კი ასე არ ხდება. საქმის შესრულებაზე დარჩა ძველი (რევოლიუციის პირველი წლების) შეხედულება. მოვალეობის ასრულებას კიდევ თვლიან გმირობათ და უხვად ასაჩუქრებენ.

აი მაგალითი. ერთი სამაზრო საფინანსო განყოფილების გამგე დაასაჩუქრეს ოქროს სათუთუნეთი*) იმისათვის, რომ მან გადასახადი შეკრიბა სრული ასი პროცენტის რაოდენობით. ჩემი ფიქრით სწორი კი იქნებოდა, რომ მისთვის არავითარი საჩუქარი არ მიეცათ ჯამაგირის გარდა, ვინაიდან გადასახადის გულიანათ შეკრება მისი პირდაპირი მოვალეობა იყო. რომ არ შეეკრიბა სრულად, პასუხისგებაში უნდა მიეცათ, თუ რაიმე საპატიო მიზეზით თავს ვერ გაიმართლებდა. ძველ პირობებში, ვთქვათ, მაგალითად, გაწერის („რაზვიორსტკის“) წესით სასურსათო გადასახადის სრულად შეკრებისათვის დასაჩუქრება საჭირო იყო, ვინაიდან ამ საქმის ჩატარება არანორმალურ პირობებში ხდებოდა და ფრიად ძნელი იყო. მაგრამ არც მაშინ უნდა დაესაჩუქრებიათ ოქროს სათუთუნეთი—შეიძლებოდა ფულით, სურსათით და სხვა რაიმეთი.

თუ ძველი შეხედულება საქმის ასრულებაზე ჩვენ არ შევიცვალეთ, ამით ჩვენ მუშაობას დიდათ ვავნებთ. ასეთ ნორმალურ პირობებში, რომელიც ახლა არის, ყველას უნდა მოეთხოვოს დაკისრებული მოვალეობის სწორათ, პირნათლად და დროზე შესრულება. ამისათვის არ არის საჭირო არავითარი სპეციალური დაჯილდოვება. ყველამ უნდა იცოდეს, რომ საქმის შეუსრულებლობისათვის მას მოსთხოვენ პასუხს, შესრულებისათვის კი ის იღებს სათანადო სამუშაო ხელფასს საერთო წესით. თუ ასე არ მოვიქეცით ჩვენ საბჭოთა ორგანოებში ბევრი ტყუილა მჭამლები გვეყოლება.

ყველაფერი ზევით ნათქვამი არ ნიშნავს მას, რომ არ იქნენ დაფასებული მუყაითი მუშაკნი. ეს ჩაკლავდა ინიციატივას. პირიქით, საჭიროა თვითეული მომუშავის სათანადოთ დაფასება, რაც უნდა ხდებოდეს სხვადასხვა ფორმებში—წინ წაწევა, ჯამაგირების მომატება და სხვა. განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება დასაჩუქრებაც (ფულით, შეღავათებით) და „ტანტიემის“ მიცემა ისეთი პირებისათვის, რომელნიც ახლანდელ პირობებში გააკეთებენ ისეთ რამეს, რაც არაჩვეულებრივია, რაც მასზე დაკისრებულ მოვალეობას ამეტებს, რის გაკეთებაც ყველას არ ძალუძს და რაც ჩვენი მუშაობის ნაყოფიერებას აორკეცებს.

მაგრამ ასეთ შემთხვევაშიაც საჭიროა მოვიქცეთ არა ისე, როგორც კერძო მწარმოებლები იქცეოდენ უწინ. მაგალითად, თუ „ტანტიემა“ მიეცა რომელიმე წარმოების ხელმძღვანელს წარმოებაში რაიმე ახალი ცვლილების შეტანისათვის, რაც შრომის ნაყოფიერებას აორკეცებს,—არ უნდა იქნეს დავიწყებული ის მუშებიც, რომელთა პირდაპირი დახმარებით მან შესძლო ამ ცვლილების გატარება.

ტოშელი.

---

*) ამ ფორმით დასაჩუქრებას საბჭოთა წესწყობილების დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ოქროს სათუთუნე ფუფუნების საგანია.

პარიზი და მოსკოვი

1. რეაქცია და რევოლიუცია

1859 წ. ფერდინანდ ლასალი სწერდა კარლ მარქს: ჯერჯერობით, ყველა ნაპოლეონების მიუხედავად, საფრანგეთი ევროპისათვის არის რევოლიუცია. მისი დამარცხება—რევოლიუციის დამარცხებაა.

დღეს ეს სიტყვები უკულმა შებრუნებით სავსებით გამოხატავს ჭეშმარიტებას. მართლაც ჯერ-ჯერობით, მიუხედავად მილერანების, კლემანსოების და პუანკარეების „კაცთმოყვარული“ სიტყვებისა, საფრანგეთი ევროპისათვის არის რეაქცია. მისი დამარცხება—რეაქციის დამარცხებაა.

გასულ საუკუნეში რუსეთი იყო ინტერნაციონალური რეაქციის ყავარჯენი. იგი საფრანგეთს უბრუნებდა ბურბონებს, ახშობდა პოლონეთის აჯანყებას, ანადგურებდა ჰუნგრეთის რევოლიუციას, ველურად სჯიჯნიდა დაპყრობილ ერთა სხეულებს. ამავე დროს საფრანგეთი ინტერნაციონალური რევოლიუციის რეზერვუარი იყო. მარსელიეზის ხმა ძილს უფრთხობდა მთელი ევროპის რეაქციას, იგი აღწევდა ეგვიპტესა და სირიის მიდამოებს.

დღეს როლები სავსებით შეიცვალა. მოსკოვი რევოლიუციის ცეცხლის გაუციებელი ქურაა. აქ სცემს ლენინის რკინის ნებისყოფის რევოლიუციონური ენერგია. ის არის რევოლიუციონური მოძრაობის ხელმძღვანელი მსოფლიო მასშტაბით. პარიზი რეაქციონური ნაგავის ბუდეა. იქ ბრძანებლობს „პუანკარე—ომის“ სისხლიანი ხელი. მის ქუჩებში დათოთხავს ყოველგვარი ტიპის საეჭვო ხასიათის ვიგინდარები. ის არის რეაქციონური მოძრაობის ხელმძღვანელი მსოფლიო მასშტაბით.

საბჭოთა ქვეყნებს არ ყოლია ისეთი შეურიგებელი და გაავთრებული მოწინააღმდეგე, როგორც პარიზის მთავრობა. არ ყოფილა ისეთი რთული მომენტი საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრებაში, რომ პარიზის კაბინეტს არ გაება პოლიტიკური ქსელები ჩვენ დასამხობად. პარიზი მთელი თავისი შესაძლეობით ილაშქრებდა მოსკოვის წინააღმდეგ. მისი „კულტურული“ როლი სავსებით გამოაშკარავდა რუსეთის სიმშილობის დროს. პარიზმა მოსკოვს პურის მიწოდების ნაცვლად დამშეულთათვის, პოლონეთსა და რუმინეთს მიაწოდა ტანკები, ზარბაზნები, ტყვიისმფრქვევლები, ჰაეროპლანები, რომ ისინი თავს დასხმოდენ სიმშილისაგან განაწამებ რუსეთის გლეხებს. ამავე პარიზის თაოსნობით, რუსეთის დამხმარე საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა იაპონიის წარმომადგენელი, წარმომადგენელი იმ სახელმწიფოსი, რომელსაც სწორედ ამავე დროს სამხედრო ძალებით დაკავებული ჰქონდა შორეულ აღმოსავლეთის ნაწილები. პარიზისავე გავლენით, რუსეთისათვის დახმარების მიწოდების სათავეში ჩაუდგა ნულანსი, ცნობილი თავის რეაქციონური მოღვაწეობით რუსეთში, ის პირი, რომელიც შეეცადა რეაქციონური ქსელის მოწყობას დამშეულია დახმარების ფირმის ქვეშ.

თანამედროვე სოციალური წყობილების დროს სახელმწიფოთა ურთიერთობა ერთ ერთი უსაშინელესი და უბნელესი სფეროა. თუ პიროვნებას სისხლის სამართლის მუქარით ეკრძალება ძარცვა-გლეჯა, გატაცება, დაპყრობა, მკვლელობა და სხვა, სახელმწიფოთა ურთიერთობის სფეროში ეს ნორმალურ მოვლენათ არის მიჩნეული. ცხადია კაპიტალისტური ქვეყნები, როდესაც ასე ებრძვიან მათივე ტიპის ქვეყნებს, ისინი უფრო მეტი მხეცური სიმკაცრით გაილაშქრებენ სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, რომელნიც მათი ბატონობის დამხობით იმუქრება. საფრანგეთმა მართლაც მიმართა ასეთ სიმკაცრეს საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ, მან გამოაშკარავა მთელი თავისი „კულტურული“ ველურობა და ბარბაროსობა.

დღეს მდგომარეობა ნაწილობრივ სხვა სახეს იღებს.

ლონდონის ცნობის შემდეგ პარიზშიაც გაისმას ხმები, რომელნიც ერთგვარი გადატეხის მაჩვენებელია. საჭიროა ვიცოდეთ ის მოტივები, რომელიც ამოძრავებდა პარიზს მოსკოვის წინააღმდეგ და რომელიც დღეს განსაკუთრებულ ფორმებში ისახება.

როგორც ვიცით, საფრანგეთი, მტრულად განწყობილი ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებთან, ეძებდა მოკავშირეს აღმოსავლეთში. მისთვის ამ მხრივ მეტად საინტერესო იყო როგორც სპარსეთი, ისე პოლონეთი და რუსეთი. რამდენათაც რუსეთის გაძლიერება ფაქტი გახდა აღმოსავლეთში, იმდენად მეფის რუსეთით უაღრესად დაინტერესდა საფრანგეთი. საფრანგეთს ეჭირებოდა რუსეთი, გაძლიერებული გერმანიის წინააღმდეგ, რომელიც თავის გავლენის სფეროებს ეძებდა ბალკანეთში და მცირე აზიაში. გერმანია ცდილობდა ოსმალეთის კოლონიალურ მდგომარეობაში ჩაყენებას და სტამბოლის გასაღების დაპატრონებას. საფრანგეთისა და რუსეთის ინტერესები დაუკავშირდა ერთმანეთს გერმანეთისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ.

საფრანგეთმა ფართოდ გაუხსნა გზა თავის ფინანსებს რუსეთისაკენ. მან დაიპყრო რუსეთის სამრეწველო რაიონები. იგი ხელსაყრელ პირობებში ნახულობდა რუსეთში კონცესიებს. რკინის-გზების, ტრამვაის, ელექტრონის სადგურების, დონეცის ბასეინის მაღაროების ექსპლოატაცია ფართოდ დააყენა საფრანგეთის კაპიტალმა. მან რუსეთი აქცია ნახევარ კოლონიად, რომელიც აიძულა თავის ინტერესების მიხედვით საქმიანობას არა მარტო ეკონომიურ, არამედ სამხედრო სფეროშიაც. რუსეთი დაეთანხმა მოსალოდნელ ომში გამოსვლას საფრანგეთის გენერალური შტაბის გეგმით, რაც უდრიდა რუსეთის განადგურებას.

ომის მსვლელობაში რუსეთს კიდეც წილათ ხვდა ეს განადგურება. იგი კარგავდა ურიცხვ სიმდიდრეს, ხალხს, ვრცელ ტერიტორიას და მაინც განაგრძობდა თავის ბატონის დავალებათა ასრულებას. რუსეთის მშიერი და ტიტველი ჯარი, მოკლებული მძიმე და მსუბუქ იარაღს, განაგრძობდა თავდასხმას მოკავშირეთა დირექტივებით, როდესაც თვით მოკავშირეთა ჯარი, იარაღში ჩასხმული და ყოველმხრივ უზრუნველყოფილი მოგერებითი ბრძოლას აწარმოებდა.

ომის დროს რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა საშინელი ცინიზმი იყო, რომელიც კი ახსოვს ისტორიას. ეს ცინიზმი იმდენათ დიდი იყო, რომ იგი აღშფოთებდა ისეთ რეაქციონერებს, როგორც გენ. ალექსეევია. ჭეშმარიტად საფრანგეთს შეეძლო ეთქვა, რომ იგი იბრძოლებდა რუსეთის უკანასკნელ ჯარისკაცის დაღუპვამდი.

როგორც ვხედავთ რუსეთი გახდა საფრანგეთის სრული მონა-მორჩილი. მისი წარმოება საფრანგეთის კაპიტალის მოგების მიზნით მუშაობდა, მისი ქვეშევრდომნი ამავე მიზნით იბეგრებოდა, მისი ჯარი საკუთარი სამშობლოს ტერიტორიას თმობდა, თავის თავი მსხვერპლად მიჰქონდა, რომ დაეფარა პარიზი საფრთხისაგან, შეეჩერებია მოწინააღმდეგის შეტევა საფრანგეთზე.

საფრანგეთი რუსეთით სარგებლობდა ისე, როგორც ალჟირით, ტუნისითა და მოროკოთი. ამ სარგებლობას მას არ აკლებდა მეფის მთავრობა. ამასვე ხელს უწყობდა კადეტებიც, მილიუკოვის ხელმძღვანელობით. ამ გზას ვერ აცდა კერენსკის მთავრობაც, რომელიც კერენსკის მჭერმეტყველობით უმტკიცებდა რუსეთის მუშებსა და გლეხებს სიცოცხლე მიეტანათ საფრანგეთის იმპერიალისტების სასარგებლოდ. მართლაც რა იყო რუსეთის მონაწილეობა მსოფლიო ომში თუ არა უდიდესი ავანტიურა რუსეთის ინტერესების თვალსაზრისით და უდიდესი გონიერება საფრანგეთის ფინანსიური ოლიგარხიის ინტერესების მიხედვით.

რამდენათ უსაზღვრო იყო მეფის რუსეთის მონობა საფრანგეთის მიმართ, იმდენათ მრისხანე გამოდგა პარიზის კაბინეტი საბჭოთა რუსეთისადმი, რომელმაც ბოლო მოუღო ამ სასირცხო და დამღუპველ მონობას.

უკიდურესი რეაქცია და რევოლიუცია წარსდგა ერთმანეთის წინაშე პარიზისა და მოსკოვის სახით.

ხერ. ამაღლობელი.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

მუშათა მოძრაობის ახალი ტალღა გერმანიაში

გერმანიის მუშებმა განაახლეს ბრძოლა
გერმანიის სამრეწველო ცენტრებში მუშებსა და პოლიციას შორის სისხლისმღვრელი შეტაკებები ხდება.
შეტაკებები მოხდა კენიგსბერგში, შტეტინში, ჰამბურგში და ბერლინში.
ბრძოლაში ებმებიან თვით ქრისტიანულ პროფკავშირებში გაერთიანებული მუშები.
საქსონიაში გენერალმა მიულერმა აკრძალა იმ მუშების მიღება სამსახურში, რომლებიც ფაშისტებს არ ემხრობიან.
ტევტონური პარტია მუშების მოსატყუებლად მოითხოვს 8 საათის სამუშაო დღის დაცვას.

ბრძოლა დაიწყო

დემონსტრაციები.

ბერლინი. 13 თებერვალი. კენიგსბერგში ლინშტეინში და აღმოსავლეთ პრუსიის მთელ რიგ ქალაქებში მოხდა კომუნისტების მასიური დაპატიმრება, კომუნისტების დემონსტრაციებისათვის ხელის შეშლის მიზნით.

მიუხედავად კომუნისტების დაპატიმრებისა, **უკანასკნელებმა მოახერხეს კენიგსბერგში მრავალრიცხოვანი დემონსტრაციის მოწყობა, რომელიც გარეკილ იქნა პოლიციის მიერ.**

შტეტინში მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება დემონსტრანტებსა და პოლიციის შორის. მუშებმა სროლა აუტეხეს პოლიციას სახლებიდან; მოკლულია ერთი პოლიციელი, დაჭრილია 7. ჰამბურგში პოლიციამ გარეკა დემონსტრანტები.

ბერლინშიაც გაიმართა დემონსტრაციები და მოხდა შეტაკება პოლიციასთან; დაპატიმრებულია 14 დემონსტრანტი, დაჭრილია ერთი პოლიციელი.

კომუნისტური მოძრაობა ძლიერდება

კომუნისტების გამოსვლა.

პარიზი. 14 თებ. **კობლენციდან იუწყებიან კომუნისტების გამოსვლების შესახებ ზოლინგენსა და სხვა ადგილებში.**

ბერლინიდან მიღებულ ცნობების თანახმად, კომუნისტურ დემონსტრაციები გაიმართა ჰამბურგსა და კენიგსბერგში.

კომუნისტების გეგმა.

ბერლინი. 14 თებ. გერმანული გაზეთები იუწყებიან კომუნისტების მზადების შესახებ გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში. მათი მიზანია მთელ ქვეყანაში მოძრაობის დაწყება. პოლიციის მიერ მიღებულია წინასწარი ღონისძიებები.

ზოგიერთ გაზეთების ცნობით, კომუნისტური გეგმის შესრულება გადადებულია 20 თებერვლისათვის და მოხდება რეიხსტაგის სესიის გახსნის დროს.

მუშების მოთხოვნილება

ბერლინი. 13 თებერვალი. რურის სამთო-მადნო მრეწველობის მუშათა ქრისტიანულ პროფკავშირების დეპუტაციამ გადასცა პროტესტი შრომის სამინისტროს, რომელსაც გამოაქვს მუშებისათვის საზიანო დადგენილებები. დეპუტაციამ მრეწველებთან შეთანხმებით პროტესტი განაცხადა აგრეთვე ნახშირის მრეწველობის ცალმხრივი დაბეგვრის წინააღმდეგ და მოითხოვა გადასახადის სიმძიმის გადატანა მთელს გერმანიაზე.

სამთომადნო მრეწველობის მუშათა ქრისტიანული კავშირის პრეზიდიუმმა დეპუტაციასთან ერთად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს მოლაპარაკების დაწყებას სამუშაო ხელფასის შესახებ, სატარიფო ხელშეკრულების დაცვას და სოციალური დაზღვევის რეფორმის შემუშავებას მხოლოდ პროფკავშირების ცენტრალური ორგანოების მიერ.

ფაშისტების ხრიკები

ბერლინი. 13 თებერვალი. საქსონიაში **გენერალმა მიულერმა წინადადება მისცა მწარმოებლებს მიიღონ სამსახურში მხოლოდ ის მუშები, რომლებიც ემხრობიან ფაშისტურ კავშირებს და შეადგინონ იმათგან ქარხნის პოლიცია.**

ბერლინში ელექტრონის საყოველთაო კომპანიის ფაბრიკებშიაც მოხდა ასეთი ცდა.

ტევტონური პარტია, მუშების მიმხრობის მიზნით, აყენებს სოციალურ ლოზუნგებს, მოითხოვს 8 საათის სამუშაო დღეს და იწყებს კამპანიას ნაციონალურ პროფკავშირების და აგრეთვე თავდაცვის მინისტრის ჰესლერის წინააღმდეგ. ყოველდღიურ შეტაკებებში კომუნისტებთან პოლიცია ემხრობა ტევტონურ პარტიას.

სეპარატისტული მოძრაობა

სეპარატისტების წინააღმდეგ.

ლონდონი. 14 თებერვალი. შტრეზემანს ჰქონდა თათბირი საფრანგეთის ელჩთან ბერლინში.

ყველა პარტიების და კლასების ხელმძღვანელი ორგანიზაციები, აცხადებენ რა პროტესტს საფრანგეთის სეპარატისტულ ზრახვების წინააღმდეგ, იწვევენ მომავალ კვირას კრებებს მთელ გერმანიაში იმ მიზნით, რათა ერთგულება გამოუცხადონ გერმანიას პალატინატის და რეინლანდის სახელით და მიიღონ ზომები მათ განსათავისუფლებლად.

გერმანული გაზეთები, რომლებიც აკრძალული იყვნენ სეპარატისტების მიერ, კვლავ გამოდიან.

სეპარატისტები.

ბერლინი. 14 თებერვალი. მცხოვრებთა უკმაყოფილებამ სეპარატისტულ გამოსვლებით განსაკუთრებით მწვავეთ იჩინა თავი პირმაზენში, სადაც საქმე შეტაკებამდე მივიდა. სეპარატისტებმა კატეგორიულად უარყვეს მცხოვრებთა მოთხოვნილება მთავრობის შენობების გაწმენდის შესახებ. აბობოქრებულმა ბრბომ შეუტია ქალაქის თვითმართველობის შენობას, სადაც სეპარატისტები ჩაიკეტენ და სროლა აუტეხეს ბრბოს. **გააფთრებულმა ხალხმა ცეცხლი წაუკიდა შენობას და აიძულა სეპარატისტები უკან დაეხიათ.** ჯერჯერობით გამორკვეულია, რომ მოკლულთა რიცხვი 48 კაცს უდრის, აქედან 28 სეპარატისტია. მცხოვრებთა შორის დიდი მღელვარებაა. საოკუპაციო ხელისუფლებამ ინცინდენტის დროს შეინარჩუნა სრული ნეიტრალიტეტი, საღამოს კი აკრძალეს ყოველგვარი მოძრაობა ქალაქში.

კაიზერლაუტერნში მოხდა შეტაკება სეპარატისტებსა და მცხოვრებლებს შორის.

რურის ოლქში

რურის ოკუპაცია საზარალოა საფრანგეთისათვის.

პარიზი. 12 თებერვალი. საფრანგეთის გაზეთებმა არსებითად შეიცვალეს აზრი რურის ოკუპაციის შესახებ.

„მატენ“-ი უკვე სწერს, რომ რურის ოკუპაცია მხოლოდ ხარჯებს იწვევს. ერბერტის წერილში ნათქვამია, რომ შესაძლებელია საფრანგეთის ჯარებმა დასტოვონ რურის ოლქი, თუ სარეპარაციო გირაოდ შემოტანილი იქნება ფასიანი ქაღალდები. ეს კი მოსახერხებელია ინგლისისა და საფრანგეთის მჭიდრო თანამშრომლობით.

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო

შვეცია. **შვეციის სოციალ-დემოკრატიული გაზეთები აღნიშნავენ. რომ საბჭოთა კავშირის ცნობა უფრო მეტ როლს ითამაშებს ევროპის ეკონომიური მდგომარეობის მოწესრიგებაში, ვიდრე ანტანტის „ზომებით“.**
ინგლისი. ინგლის-რუსეთის კონფერენცია გაიხსნება მარტში.
ჰოლანდია: საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის მდივანმა ლონდონში, ამხ. გერმერმა ინახულა ჰოლანდიის გარეშე საქმეთა სამინისტრო.
პოლონეთი: კომუნისტმა დეპუტატებმა შეიტანეს სეიმში წინადადება საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობის შესახებ.
პოლონეთის მთავრობას განზრახვა აქვთ მიჰბაძოს იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც იცნეს საბჭოთა მთავრობა.

ინგლისი

რუსეთ-ინგლისის კონფერენცია დაიწყება მარტის დასასრულს.

ლონდონი. 13 თებერ. „დეილი გერალდის“, ინგლისის მთავრობის ახლანდელი ოფიციალური ორგანოს, დიპლომატიური კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ რუსეთ-ინგლისის კონფერენცია არ შეიძლება დაიწყოს მარტის დასასრულამდე და, ალბად, გაგრძელდება 2 თვეს. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობამ უნდა ისარგებლოს მოლაპარაკებით, რათა განაცხადოს თანამშრომლობის სურვილი, საბჭოთა კავშირის განაპირა სახელმწიფოებთან შეთანხმების მიზნით, რაც განამტკიცებს მშვიდობიანობას აღმოსავლეთ-ევროპაში.

პოლონეთი

პოლონეთს სურს დაამყაროს რიგის ხელშეკრულება.

ვარშავა. 13 თებერვალი. პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ზამოისკიმ პოლონეთის სეიმის გარეშე საქმეთა კომისიაში აღნიშნა უცხო სახელმწიფოების პოლიტიკის შეცვლა რუსეთის საკითხში, რომელიც არის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა ევროპაში. ინგლისის და იტალიის გარდა, ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოებისა, ემზადება საბჭოთა კავშირის დე-იურედ ცნობისათვის. ცნობის უშუალო შედეგი იქნება საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ურთიერთობის დამყარება დასავლეთთან. პოლონეთსაც აქვს განზრახული მონაწილეობა მიიღოს ამ ურთიერთობის განვითარებაში. საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის ურთიერთობის საფუძვლად ითვლება რიგის ხელშეკრულება, რომლის შესრულებისაკენ ილტვის პოლონეთი.

გერმანიის პოლიტიკაში პოლონეთი დაიცავს მჭიდრო კონტაქტს დასავლეთის იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან კონტინენტზე მშვიდობიანობის დაცვით.

სავაჭრო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან.

ვარშავა. 13 თებ. კომუნისტმა დეპუტატმა ლანცუცკიმ და კრულიკოვსკიმ შეიტანეს სეიმში რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს მთავრობის მიერ ერთი თვის განმავლობაში საბჭ. კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების პროექტის შემუშავებას.

ჰოლანდია

ჰოლანდია და საბჭოთა კავშირი.

ლონდონი. 13 თებერვალი. გაზეთების ოფიციალური ცნობით, საბჭოთა კავშირის სავაჭრო დელეგაციის მდივანი ლონდონში გერმერი, მოსკოვიდან ლონდონში გამგზავრების დროს შეჩერდა ჰააგაში და ეწვია პოლონეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს, სადაც მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა საბჭოთა კავშირის და ჰოლანდიის ურთიერთობის საკითხის შესახებ.

შვეცია

საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

სტოკჰოლმი. 13 თებერვალი. სოციალ-დემოკრატები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა უფრო დიდ მნიშვნელოვან აქტს წარმოადგენს ევროპაში ნორმალური ურთიერთობის დამყარებისათვის, ვინემ ყველაფერი ის, რაც გააკეთა ანტანტამ დღემდე ევროპის ომის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკდონალდის დეკლარაციის შემდეგ

კამათი მაკდონალდის დეკლარაციის გამო

ლონდონი. 15 თებერვალი. (დასაწყისი არ არის მიღებული)... თემთა პალატაში ჩემბერლენი შეეკითხა პრემიერს: აქვს თუ არა მას განზრახვა უზრუნველჰყოს თვის მიმართ ქვეყნის ნდობა და გაარკვიოს თავისი პოზიცია საკითხში კაპიტალზე გადასახადების დაწესების შესახებ? მას აგრეთვე სურს გაიგოს მთავრობის პოზიცია ბრიტანეთის მრეწველობის ინტერესების დაცვის საკითხში.

შემდეგ ჩემბერლენმა სთქვა, რომ არსებობენ მხოლოდ ბაზრები, რომლებზედაც ინგლისს შეუძლია იქონიოს იმედი და არ შეამციროს თავისი ძველი ვაჭრობა და დღევანდელ არევ დარევის ხანაში გასაქანი მისცეს მას. ეს ბაზრები არსებობენ ბრიტანეთის დომინიონებსა და კოლონიებში.

პალატის ზოგიერთ სხვა წევრების სიტყვების შემდეგ, მაკდონალდმა ილაპარაკა სხვადასხვა საკითხებზე ეროვნულ თავდაცვის შესახებ მან სთქვა, რომ მთავრობა ამ საკითხს უფრო მეტი ყურადღებით ეკიდება, ვიდრე ეს იყო წინად. მსოფლიოში არ მოიპოვება ერი, რომელსაც უნდოდეს ხელახლა დიდი ომის დაწყება. ყველა ქვეყნის ხალხთა სულიერი განწყობილება სურვილი მიაღწიონ შეთანხმებას, რომლის საშუალებით შეიარაღება კი არ გაფართოვდება, არამედ შემცირდება ნორმალურ რაოდენობამდე.

ამიტომ მთავრობა იხილავს ამ საკითხს არა სამხედრო თვალსაზრისით, არამედ ინგლისის საგარეო და საერთაშორისო პოლიტიკის ინტერესების თვალსაზრისით. მთავრობა ათანხმებს ამ ინტერესებს. გარეშე საქმეთა მინისტრი, აწარმოებს რა მოლაპარაკებას უცხო სახელმწიფოებთან, იქნება დამოკიდებელი არა სამხედრო ძალებზე, არამედ „შესაძლებლობის“ პოლიტიკაზე.

შემდეგ პრემიერმა აღნიშნა, რომ მთავრობას სურს დაიცვას ეკონომია და განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს გაბედულად გაატაროს ეს პოლიტიკა. რაც შეეხება გადასახადებს კაპიტალზე, ეს საკითხი არ შეიძლება განხილულ იქნას თემთა პალატის დღევანდელ სესიაზე. მაკდონალდის შემდეგ ხაზინის კანცლერმა სნოუდენმა, უპასუხა რა შეკითხვებზე, განაცხადა, რომ გადადგმული იქნება ნაბიჯები ეროვნულ ვალების ლიკვიდაციისაკენ, როგორც ამას პრემიერი გვპირდებოდა. კომისია შედგენილი იქნება 9—10 კაცისაგან, აქედან არც ერთი არ იქნება თემთა პალატის წევრი.

ბალდვინის და ასკვიტის ოპოზიცია.

ბერლინი. 15 თებ. ბალდვინი და ასკვიტი სასტიკად ილაშქრებდნენ თემთა პალატაში მაკდონალდის წინააღმდეგ, რომლის პროგრამას უწოდებდნენ უფერულს და გაურკვეველს. ბრიტანეთის კაბინეტი ოთხშაბათის საღამოს სხდომაზე არჩევდა მდგომარეობას, რომელიც შექმნილია ასკვიტის ოპოზიციის მიერ.

მაკდონალდის მოქმედების კრიტიკა.

ბერლინი. 13 თებერვალი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პრესა ხაზს უსვამს, რომ მაკდონალდის სიტყვა არის დასაწყისი ახალი ხანისა ევროპაში.

მთავრობის წრეები ჩუმად შეხვდენ პროექტს ერთა ლიგაში გერმანიის მიღების შესახებ.

მემარჯვენე წრეები მაკდონალდის სიტყვას არ შეხვდენ თანაგრძნობით და ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ მაკდონალდი იცავს მხოლოდ ინგლისის ინტერესებს და ილტვის საფრანგეთთან შეთანხმებისაკენ იმ მიზნით, რათა რეინის ოლქი გადავიდეს ერთა ლიგის სუვერენიტეტის ქვეშ.

ინგლისს სურს მონაწილეობა მიიღოს რურის საქმეებში გერმანიის ხარჯზე, რისთვისაც იწონებს საფრანგეთის მოთხოვნილებებს მისი საზღვრების უშიშროების გარანტიის შესახებ.

რაც შეეხება საერთაშორისო კონფერენციის პროექტს, მემარჯვენე წრეები მას ილიუზიების პოლიტიკად სთვლიან.

საფრანგეთის პრესა მაკდონალდის სიტყვის შესახებ.

პარიზი. 13 თებერვალი. საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა დაკმაყოფილებულია მაკდონალდის სიტყვით და მისი დაპირებით საფრანგეთთან თანამშრომლობის შესახებ. ზოგიერთი მემარჯვენე გაზეთები იჭვს გამოსთქვამენ სარეპარაციო საკითხის სასურველად გადაჭრაში, რადგან მაკდონალდმა არ წარმოადგინა ამის შესახებ არავითარი კონკრეტიული წინადადებანი.

მემარცხენე ბლოკის პრესა აღტაცებულია მაკდონალდის სიტყვით. „ტანი“ ხაზს უსვამს მაკდონალდის სიტყვის ფრთხილ ტონს და შენიშნავს, რომ ბალდვინი, რომელიც აკრიტიკებდა მაკდონალდს, ვერ დაამტკიცებს იმაზე მეტ ბურჟუაზიულ სულისკვეთებას, ვიდრე თვით მაკდონალდი იჩენს.

საზღვაო „განიარაღება“

რომი. 15 თებერვალი. „ჩიკაგო ტრიბუნ“-ს რომის კორესპონდენტის ცნობით, რომში გაიხსნა ერთა ლიგის კონფერენცია საზღვაო განიარაღების საკითხის განსახილველად წარმოდგენილია 16 სახელმწიფო, რომლებიც ფლობენ მსხვილ საზღვაო ერთეულებს, მათ შორის რუსეთიც.

მონაწილეობას ღებულობენ: ბელგიის, ბრაზილიის, ესპანეთის, ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, შვეციის, ჩეხო-სლოვაკიის, ურუგვაის, არგენტინის, ჩილის, დანიის, ნორვეგიის, პოლონეთის და რუსეთის დელეგატები.

სესია სწარმოებს რომში, ვინაიდან საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი არ წავლენ შვეიცარიაში, სადაც სასამართლომ გაამართლა რუსეთის დელეგატის ვოროვსკის მკვლელი.

საერთოდ მონაწილეობას ღებულობს 20 დელეგატი და 40 ექსპერტი.

კონფერენციას აქვს ოფიციალური სახელწოდება „კონფერენცია საზღვაო განიარაღების შესახებ დადებულ ვაშინგტონის ხელშეკრულების გასავრცელებლად იმ ერებზე, რომელთაც ხელი არ აქვთ მოწერილი მასზე“. კონფერენციის მიზანია ერთა ლიგის ახალი საზღვაო კონფერენციის მომზადება მომავალი წლისათვის.

ოფიციალურ სიაში შეტანილია რუსეთის დელეგატი ადმირალი ბერენსი, საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოსთან არსებული ატაშე საზღვაო საკითხების დარგში. მისი განცხადება იწვევს ნაწილობრივ სენსაციას და ზოგიერთი დელეგატები მიმართავენ მას შეკითხვებით. ბერენსი საუცხოვოდ ლაპარაკობს ფრანგულად.

კონფერენციაზე თავმჯდომარეობდა ბრიტანეთის ადმირალი ობრეი სმიტი.

სხვადასხვა

საფრანგეთი

ობსტრუქციის ეშინიათ.

პარიზი. 12 თებერვალი. ოფიციალური გაზეთები აღშფოთებულნი არიან კომუნისტების მიერ პარლამენტში გამართულ ობსტრუქციის გამო და მოითხოვენ რეგლამენტის შეცვლას, რათა ხელი შეუშალონ არასასურველ გამოსვლებს.

ჩინეთი

რკინისგზელთა ყრილობის დეპეშა.

პეკინი. 12 თებერვალი. დამთავრდა სრულიად ჩინეთის რკინისგზელთა კავშირების ყრილობა; ყრილობამ ლენინის გარდაცვალების გამო სამძიმრის დეპეშა გაგზავნა მოსკოვში. ყრილობამ დაადგინა მხარი დაუჭიროს რევოლიუციონურ ეროვნულ მოძრაობას ჩინეთში, შეუერთდეს ტრანსპორტელთა საერთაშორისო წითელ კავშირს და დაარსოს ჩინეთის რკინიგზელთა კავშირების ეროვნული ფედერაცია.

საბერძნეთი

მოითხოვენ რესპუბლიკის დაარსებას.

ათენი. 12 თებერვალი. საბერძნეთის პრემიერმა კაფანდარისმა საბერძნეთის პარლამენტში შეიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნავს, რომ დინასტია უძლური და უღირსი გამოდგა საბერძნეთისათვის. რეზოლიუცია მოითხოვს რესპუბლიკის დაარსებას.

იტალია

კომუნისტები არჩევნებში

რომი. 12 თებერვალი. პარლამენტის მომავალ არჩევნებში იტალიის კომპარტია გამოდის კომინტერნის მომხრე სოციალისტებთან ერთად. კომუნისტები აყენებენ მხოლოდ გრაციადეის კანდიდატურას.

წითელ რესპუბლიკაში

რუსეთი

საბჭოთა კავშირის ელჩის თანამდებობაზე.

რომი. 15 თებერვალი. გაზეთების ცნობების მიხედვით, რომში საბჭოთა კავშირის ელჩის თანამდებობაზე კანდიდატათ ასახელებენ ა. ვ. ლუნაჩარსკის.

ღვინის სინდიკატის გეგმა.

მოსკოვი. 15 თებერვალი. ღვინის სინდიკატის ცნობების თანახმათ, ვენახების სივრცე საბჭოთა კავშირში 35 პროც. შემცირდა ომამდის არსებულ სივრცესთან შედარებით. ვენახების პროდუქცია სამჯერ შემცირდა. შრომის მეურნეობების აღსადგენათ საჭიროა კრედიტი. ღვინის სინდიკატს განზრახვა აქვს მიმდინარე წელში დაამზადოს 600.000 ვედრო ღვინო; შემოსავლის საერთო თანხა ნავარაუდევია 7.510,000 მან., გასავალია—6 მილ. მან მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა სინდიკატის გეგმა მისაღებათ იცნო არსებულ პირობებში და გადასწყვიტა მიიღოს ზომები ღვინის ექსპორტის მოწყობისათვის; მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა დაადგინა აგრეთვე შეიმუშავოს დეკრეტები მევენახეობის და მეღვინეობის დასაცავათ.

ექსპორტის და იმპორტის სტატისტიკა.

მოსკოვი. 14 თებერვალი. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობების თანახმათ, წარსულ საოპერაციო წელში გერმანიის შემდეგ ინგლისს მეორე ადგილი ეჭირა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში: ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირში შემოტანილ საქონლის რაოდენობა შეადგენს საბჭოთა კავშირში შემოტანილ საქონლის საერთო რაოდენობის 25 პროც; ჩვენი გატანა ინგლისში შეადგენს მთელი ჩვენი გატანის 21 პროც. ინგლისმა შეიძინა ჩვენ მიერ საზღვარგარეთ გადატანილ ნავთის და ხეტყის ნახევარზე მეტი რაოდენობა.

ტროცკის ჯანმრთელობა

ხარკოვი. 15 თებერვალი. მუშათა კრებაზე ამხ. მანუილსკიმ ამხ. ტროცკის ჯანმრთელობის შესახებ განაცხადა, რომ ლენინის გარდაცვალების 2 დღის წინ ამხ. ტროცკი გაემგზავრა ხარკოვით კავკასიაში. ცნობამ ილიჩის გარდაცვალების შესახებ მოუსწრო ტროცკის ტფილისში, საიდანაც მან გაგზავნა მოსკოვში ცნობილი დეპეშა წერილი და შეეკითხა ცეკას, საჭიროა თუ არა მისი დასწრება დაკრძალვაზე და თუ საჭიროა, ის უკან გამობრუნდება. პოლიტბიუროს პლენუმმა განიხილა რა ეს საკითხი, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსკოვში იმყოფება ცეკა მთელი თავის შემადგენლობით, ხოლო ტროცკის ჯანმრთელობა შეიძლება გართულდეს, რის გამოც ტროცკის გაეგზავნა დეპეშა განაგრძოს თავის მოგზაურობა და შეინარჩუნოს ჯანმრთელობა. ექიმების სიტყვით ტროცკის ავადმყოფობა გამოიხატება ორგანიზმის საერთო სისუსტეში, გულის მოქმედების შესუსტებაში, ბრონხების ტუბერკულიოზში, კუჭის დაავადებაში,—შესაძლოა კუჭის წყლულიც ჰქონდეს.

ექიმების აზრით, ტროცკი რამოდენიმე თვის განმავლობაში სრულიად გამომრთელდება, მაგრამ ეხლა მისთვის საჭიროა სრული სიმშვიდე, კარგი კვება და ჯანსაღი ჰაერი. ტროცკი იმყოფება სუხუმ-კალეში.

ბოლოს ამხ. მანუილსკიმ განაცხადა: „რუსეთის კომპარტიის ცეკას მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს და მთელი პარტიული მასის სახელით გამოვსთქვამ სურვილს, რათა ტროცკიმ 2—3 თვეში სავსებით აღადგინოს თავისი ჯანმრთელობა და დაიწყოს მუშაობა პარტიულ და საბჭოთა ხაზით“. შეკრებილი მუშები ამ განცხადებას ერთსულოვანი ტაშით შეხვდენ.

ფინანსების გაჯანსაღება

ოქროს და ვერცხლის ფულის გამოშვება.

მოსკოვი. 15 თებერვალი. ახლო მომავალში გამოშვებული იქნება ვერცხლის ფული, რომელიც შეიცავს ვერცხლს ძველი ფულის თანაბარი რაოდენობით. ჩერვონცები და ხაზინის ჩეკები დაუბრკოლებლად დახურდავდება ვერცხლზე ამიტომ ვერცხლის შენახვას არავითარი აზრი არ ექნება. ოქროს ჩერვონცები, რომელიც იჭრება ფულის დამამზადებელ ექსპედიციაში, წმინდა ოქროს წონით, აგრეთვე იქნება თანაბარი ძველი ოქროს თუმნიანისა, ოქროს ფულის თავისუფალი ტრიალი, ალბად განხორციელდება მომავალ წელს, როცა საბოლოოდ დამყარდება ნორმალური შეფარდება ჩერვონცებსა, ხაზინის ნიშნებსა და ვერცხლს შორის.

ხაზინის ბილეთების გამოშვება.

მოსკოვი. 15 თებერვალი, „სახელმწიფო ფულის ნიშნების“ ფაბრიკის მმართველმა ამხ. ენუქიძემ, პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ გარდა ხაზინის მსხვილი ბილეთების—5—3 და 1 მანეთიანის გამოშვებისა, ვერცხლის და სპილენძის ფულის საკმაო რაოდენობის დამზადებისა, გამოშვებული იქნება ხაზინის წვრილი 1, 3, 5, 20 და 50 კაპეიკიანი ბილეთები.

„კიდევ ერთი ცნობა“

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი. 14 თებ. გაზეთ „პრავდა“-ში ამ სათაურით მოთავსებული წერილი ამბობს, რომ ნორვეგიამ იურიდიულათ იცნო ჩვენი კავშირი. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ცნობა ძალიან ჩქარა მოხდა. ომის დროს ნორვეგიის ბურჟუაზია ინგლისის სასარგებლოთ იყო განწყობილი და გასაკვირი არ არის, რომ ინგლისი ფაქტიურათ ეხლაც მფარველობას უწევს ნორვეგიის ბურჟუაზიას.

ნორვეგიის მაგალითს უნდა მიბაძონ სკანდინავიის სხვა სახელმწიფოებმაც, მათ რიცხვში შვეციამაც, რომელიც აგრეთვე დაინტერესებულია ჩვენთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის ზრდით. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი დამოკიდებულება უცხოეთთან ძლიერდება. ჩვენ შევდივართ ისეთ ხანაში, როდისაც საჭიროა განსაკუთრებით მგრძნობიერი საგარეო პოლიტიკა, უფრო რთული, ვიდრე წინა ფაზაში იყო. გავამაგრებთ რა ჩვენს შინაურ ზრდას სწორი საგარეო პოლიტიკით, ჩვენ ავიყვანთ ჩვენს კავშირს სამეურნეო-პოლიტიკურ ძლიერების შემდეგ საფეხურზე.

პარტიული ცხოვრება

ლტოლვა კომპარტიისაკენ

სომხეთში

მუშების ხმა.

ერევანი. 12 თებ. მუშების შორის, განსაკუთრებით რკინისგზელთა შორის, დიდი მიზიდულობა ემჩნევა კომპარტიისაკენ. აუარებელი განცხადებები შეაქვთ პარტიაში როგორც კერძო, ისე კოლექტიური. სომხეთის მუშათა მასსები გრძნობენ, რომ ლენინის სიკვდილი ავალებს მათ გააძლიერონ კომპარტია თავისი რაზმებით. ჯერ-ჯერობით პარტიაში მიღებულია 300 მუშა. მიღება გრძელდება. განცხადებათა რიცხვი 500-ს აღემატება. პარტიის შემადგენლობის გაძლიერება მუშებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სომხეთისათვის, რომლის კომპარტიაც უმთავრესად გლეხობისაგან შესდგება.

ღვინისა, კონიაკისა და სპირტის ქარხნის „არარატ“-ის 70 მუშამ კოლექტიური განცხადება შეიტანეს ერევნის კომიტეტში და სურვილი განაცხადეს კომპარტიაში ჩარიცხვისა.

რუსეთში

შედიან ლენინის პარტიაში.

მოსკოვი. 14 თებ. გრძელდება ცნობების მიღება კომპარტიაში მასიურ შესვლის შესახებ: ლენინგრადში 11 თებერვლამდის შეტანილია 23.000 განცხადება, ბაქოში—3.800, გროზნაში—1.400, პეტროზავოდსკში—120, ვოლოგდაში—1.000, დონის როსტოვში—600, ვიატკაში — 500, ვიტებსკის მუშა-ქალების საერთო საქალაქო კონფერენციაზე—200.

პროლეტარიატის პარტიაში.

მოსკოვი. 15 თებ. გრძელდება ცნობების მიღება მუშების მასიურ შესვლის შესახებ კომპარტიის რიგებში: ლენინგრადში 12 თებერვალს შეტანილი იქნა 700 განცხადება, კოლომნაში უკანასკნელ დღეების განმავლობაში შეტანილია 1.100 მეტი განცხადება, როსტოვში—100, ვიქსეში—600, უფაში—70, ვოლოგდაში—1 500, ანჟერის მაღაროებში—300, ბაქოში—300, მოსკოვში 14 თებერვალს შეტანილია 19 500 განცხადება, მოსკოვის გუბერნიაში—7.700.

კულტურულ-პოლიტიკურ მუშაობისათვის

მოსკოვი. 14 თებერვალი. რუსეთის კომპარტიის ცეკამ ყველა საგუბერნიო კომიტეტებს მიმართა წინადადებით გამოყონ, მე 12 ყრილობის დადგენილების თანახმად, 3000 მუშაკი კულტურულ-პოლიტიკურ მუშაობისათვის სოფლად, განსაკუთრებით ქვედა უჯრედებში, კოოპერატიულ, პროფესიონალურ ორგანიზაციებში და ქოხებ-სამკითხველოებში.

ცეკა წინადადებას იძლევა მუშაკების დაგზავნა ადგილებზე დამთავრებული იქნეს 20 მარტისათვის.

ორშაბათს, 18 თებერვალს
საღამოს 6 საათზე
სახელმწიფო ოპერის თეატრში
მოწვეულია

ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმი

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების, ადგილკომების, პროფკავშირთა გამგეობების და სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად.

დღის წესრიგი:

1. ამხ. მ. ორახელაშვილის მოხსენება საბჭოთა სრულიად საკავშირო მეორე ყრილობის შესახებ.
2. ამხ. ლენინის დასაფლავების შესახებ მოსკოვში.

საბჭოს სხდომის შემდეგ ნაჩვენები იქნება ამხ. ლენინის დასაფლავების დღეს ქ. ტფილისში მომხდარ დემონსტრაციის კინო-სურათი.

საბჭოს თავმჯდომარე ლ. ხუხიშვილი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი ტფილისში.
(16 თებერვალი)

	მილ.
ჩერვონცები — —	2.600 მილ.
ანგ. სტერლინგ. ფუნტ.	2.418 „
„ ჩეკები	—2.325 „
დოლარი ფულ. —	572 „
„ ჩეკები —	530 „
ოსმ. ქაღ. ლირა —	347 „
იტალიური ლირა —	245 „
ფრანგული ფრანკი —	255 „
საბჭ. ფულის ნიშნები —	17 „

მოსკოვის ფასები.
(15 თებერვალი)

პური 1 ხარ 17,000, პური 2 ხ. 12000, ძროხის ხორცი—52000 ათ. ღორის ხორცი—48000 ათ. შაქარი რაფინადი 102.500 ათ. ფხვნილი შაქარი—72,500 ათასი, კარტოფილი—2500 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.
(15 თებერვალი)

პური 1 ხ.—22000 ათ., პური 2 ხარ.—17000, ძროხის ხორცი 60000 ათ. ღორის ხორცი 60000 ათ., შაქარი რაფინ. 105000 ათ., შაქარი ფხვნილი 75,000 ათ., კარტოფილი 5000 ათ.

ბირჟის მოთხოვნილება.

ნედლი ტყავეულობა, რუს. მანუფაქტურა, მაკარონი და ვერმიშელი 1 და 2 ხარ., ყუბანის ფქვილი, სახურავი რკინა, შაქარი რაფ. და ფხვნილი, სალომასი, მზესუმზირას ზეთი, ასანთი რუს., პორტლანდიის ცემენტი, ქვამარილი ნახიჩევანის.

ოფიციალური ნარიხნამი.

გოგირდი „ბუდა“—4 მ. ფუთი ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

ქვა-მარილი ნახიჩ.—59 კ. ფუთი, ფრანკო—სადგ. ტფილისი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება—უცვლელია.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცის და მასთან ერთად უცხო ვალიუტის კურსი განაგრძობს დიდ მომატებას.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება
(15 თებერვალი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 ჩ.	—2.600.000,	60 ჩ.	—156.000.000
2 „	—5.200.000,	70 „	—182.000.000
3 „	—7.800.000,	80 „	—208 000.000
4 „	—10 400.000,	90 „	—234.000.000
5 „	—13 000.000,	1 მ.	—260.000.000
6 „	—15.600.000,	2 „	—520.000.000
7 „	—18.200.000,	3 „	—780.000.000
8 „	—20,800.000,	4 „	—1.040.000.000
9 „	—23.400.000,	5 „	—1.300.000.000
10 „	—26 000.000,	6 „	—1.560.000.000
20 „	—52 000.000,	7 „	—1.820 000.000
30 „	—78.000.000,	8 „	—2.080.000.000
40 „	-104 000.000,	9 „	—2.340.000.000
50 „	-130.000.000,	1 ჩერ.	2,600.000.000

პროფკავშირებში

საქართველოს განათლების მუშაკთა მესამე ყრილობა

მესამე სხდომა.

ეკონომიურ განყოფილების მოხსენება.

(მომხ. ამხ. გეგენავა).

ცენტრალურ გამგეობის მუშაობის საერთო ხაზი სატარიფო-ეკონომიურ სფეროში მთლიანად შეთანხმებული იყო მაღლამდგომ საკავშირო ორგანოების პოლიტიკასა და შესატყვის ყრილობათა დადგენილებებთან. საანგარიშო პერიოდი ხასიათდება ახალ სატარიფო პოლიტიკაზე მთლიანი გადასვლით. კოლექტიურ ხელშეკრულებების დასადებად გაწეული მუშაობა, შემფასებელ საკონფლიქტო კომისიების ორგანიზაცია, ადმინისტრატიულ-სამეურნეო ორგანოებში სატარიფო ეკონომიურ ხასიათის საკითხების სწორი და დროული დასმა და შრომის დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებისადმი ყურადღების გაძლიერება,—აი ძირითადი მომენტი, რითაც ხასიათდება კავშირის მუშაობა ხსენებულ სფეროში საანგარიშო დროის განმავლობაში.

არც ერთ ამ ჯგუფებში არ იყო დაშვებული რეალური ხელფასის დაწევა, უმეტეს შემთხვევაში კი მიღწეულ იქნა მატერიალური მდგომარეობის ოდნავი გაუმჯობესება (გარდა მასწავლებელ-ლიკვიდატორებისა). კავშირი ცდილობდა ყველგან შეენარჩუნებია საქონლის მანეთის გამონანგარიშება, ხოლო სადაც ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, ჩერვონულ ანგარიშზე გადასვლა ხდებოდა შეძლებისდაგვარად მოსაგები პარიტეტის დაცვით.

ტფილისის ყველა ადგილკომებთან

პარტიის უახლოესი ამოცანები ვ. ი. ლენინის გარდაცვ. შემდეგ

ამხ. ზინოვიევის სიტყვა საკავშირო საბჭოთა მეორე ყრილობის კომფრაქციის სხდომაზე *)

10. „ოპოზიცია“ და პარტდისციპლინა

ვამთავრებ რა ჩემი მოხსენების ამ მთავარ ნაწილს, მე უნდა ვსთქვა კიდევ, რომ ჩვენ, როგორც ცეკა, ისე პარტია მთლიანად, მე ვფიქრობ, დაინტერესებული ვართ იმაში, რომ ამხანაგები, რომელნიც იდგენ ფრაქციების შექმნის გზაზე, ანდა ნაწილობრივ შექმნეს კიდეც ისინი, გვეტყოდენ ჩვენ პირდაპირ და გადაჭრით: მოეღება ამას ბოლო, თუ არა? დეე ისინი ნამდვილათ, უსიტყვოთ, ბოლშევიკურათ, პატიოსნათ დაემორჩილონ პარტიის გადაწყვეტილებებს, რომელნიც უკვე მიღებულია. ერთადერთი, რასაც ჩვენ მოვითხოვთ,—ეს არის გარკვეული პასუხი ამ კითხვაზე ჩვენ არ შეგვიძლია ნება მივცეთ და არც მივცემთ არავის უფლებას იმოქმედოს ფორმულით: **А Васька слушает, да ест** (აპლოდისმენტები), ე. ი. შენ გამოგაქვს რეზოლიუციები, ჩვენ მათ ვკითხულობთ და გადავდივართ მორიგ საქმეებზე. ეს არ უნდა იყოს ჩვენს პარტიაში. პარტია არავის არ მისცემს უფლებას არაპირდაპირის გზით მოიპოვონ ფრაქციების „თავისუფლება“, რადგან ეს არის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ჩვენი პარტიისათვის. ეს ესმის მუშათა წრიდან გამოსულ ყოველ ადამიანს, ამას გაიგებენ ის ახალი 100 ათასი მუშები, რომელნიც შევლენ ჩვენს პარტიაში.

რა არის ფრაქცია, ფრაქციულობა? უცხო სიტყვაა. რას ნიშნავს ეს რუსულათ? ფრაქცია ეს—ნაწილია, ნატეხი. მათ უნდათ ჩვენი პარტია ნატეხებათ აქციონ. ეს ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების დაღუპვას. ეს ნიშნავს სათამაშოთ გახადონ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის თავი. აი რატომ ვამბობთ ჩვენ, რომ ეს საკითხი გამორკვეულ უნდა იქნეს.

ჩვენ პრესაში წავიკითხეთ ოპოზიციონერების განცხადებები; ისინი ამბობენ: ეხლა, როდესაც ჩვენ ესეთი დიდი უბედურება დაგვატყდა თავს, ყველაფერი წარსული გადადის უკანა რიგი, ვსვამთ წერტილს, ბოლოს უღებთ ყველაფერ წარსულს და სხვა. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ეს, სამწუხაროთ, შეუძლებელია. კარგია, რომ ჩვენ შეგვეძლოს ამის გაკეთება, მაგრამ ეს მოუხერხებელია. წარსული რჩება, მას ვერ ამოშლი. მაგრამ, ამ ამხანაგების განწყობილებას ჩვენ ვაფასებთ და პატივს ვცემთ და მზად ვართ გაუწოდოთ ხელი და დაუახლოვდეთ ისეთ ამხანაგებს, რომელთაც ახასიათებთ ასეთი განწყობილება და რომელნიც ამბობენ, რომ ეხლა საჭიროა წერტილის დასმა, აუცილებელია ჩვენი რიგების დაუყოვნებლივი გაერთიანება და გამტკიცება. მაგრამ ჩვენ გვინდა, და მე ვფიქრობ, რომ მთელი პარტია დაინტერესებულია იმაში, რომ ასეთები იყვენ არა მარტო ცალკე ამხანაგები, რომელნიც გამოსთქვამენ კეთილ სურვილებს. თუ ფრაქციების ლეგალური არსებობა დაკანონებული იქნება, მაშინ ჩვენ დავიშლებით ქვევით, და ამით მოგებული დარჩება დანის, კუსკოვას, პროკოპოვიჩის მთელი ის კამპანია, რომელზედაც მე ზევით ვლაპარაკობდი.

რასაკვირველია, თვითეულ ამხანაგს შეუძლია ჰქონდეს თავისი საკუთარი აზრი ამა თუ იმ საკითხის შესახებ, ამის წინააღმდეგ ჩვენ არ ვილაშქრებთ, მაგრამ ჩვენ მოვითხოვთ, რომ თუ პარტიამ გადაწყვიტა ეხლა,—მან კი გადაწყვიტა ერთსულოვნათ, და ჩვენ ეს უნდა განვამტკიცოთ ჩვენი პარტიის ცხოვრებისათვის საკმაოდ სერიოზულ პირობებში და საკმაოდ მძიმე მომენტში,—თუ პარტიამ გადაწყვიტა, მაშინ ჩვენ ნამდვილ ბოლშევიკებისაგან მოვითხოვთ ნამდვილ, არა საჩვენებელ, არა ზერელე, არამედ ბოლშევიკურ დამორჩილებას. ჩვენ ვერ მოგვატყუებენ: ამ მხრივ ჩვენ დიდი გამოცდილება გვაქვს. მენშევიკებთან ერთად ფრაქციებათ დაყოფის დროს ცენტრალურ კომიტეტში, ჩვენ საკმაოდ მოხერხებულათ ვატყუებდით მათ და გვქონდა კიდეც ამის უფლება. ისტორია ჩვენს მხარეზე იყო. ჩვენ ვიცავდით პროლეტარულ რევოლიუციის ინტერესებს, ისინი კი წვრილ ბურჟუაზიის ინტერესებს.

ჩვენ მათ ტყვეობაში ვიყავით, და არ შეგვეძლო მაშინ წასვლა. ჩვენ იძულებული ვიყავით შიგნიდან გვებრძოლა მათ წინააღმდეგ. ეს იყო ჩვენი უფლება. გამოცდილება ჩვენ გვაქვს. ჩვენთვის ადვილი იქნება იმის დანახვა, მართლა ემორჩილებიან პარტიის გადაწყვეტილებებს, თუ ფრაქციული თამაში სწარმოებს? თუ მართლა დამორჩილება იქნება, მაშინ არავინ არ იქნება ამით ისე გახარებული, როგორც პარტიის ცეკა. ის მიიღებს ყველა ზომებს იმისთვის, რომ შექმნას სრულიად ნორმალური პირობები იმ ორგანიზაციებში, სადაც ბრძოლა გამწვავდა. გუშინ, დაამტკიცა რა სრულიად საკავშირო პარტკონფერენციის რეზოლიუცია, ცეკას პლენუმმა მიიღო დამატება, რომელშიაც ცეკა მოუწოდებს ყველა იმ ორგანიზაციებს, სადაც ბრძოლა გამწვავდა დისკუსიის დროს, მიიღონ ზომები, რომ ბოლო მოუღონ ამ გამწვავებას და შექმნან სრულიად ერთიანი რიგები, რომელნიც სამკვდროთ აუცილებელია ჩვენთვის ეხლა, ამ წუთში, როდესაც პარტია დაობლდა. ამ საკითხს გარშემო უნდა შეიქმნეს სრული გარკვეულობა.

11. ზოგიერთი შედეგები

ახლო მომავალში ჩვენს წინაშე დასმული იქნება მთელი რიგი საკითხები, რომელთაც მე შემიძლია შევეხო ეხლა მხოლოდ გაკვრით, რადგან ჩემი მოხსენება ისედაც გაგრძელდა. მე მინდა მოგაგონოთ ისინი, რადგან ჩვენ ვდგევართ ახალი ხანის დაწყების წინ, როდესაც პარტიის ცეკამ უნდა აწარმოოს მუშაობა ულენინოთ.

პირველი მუხლია—საერთაშორისო პოლიტიკა. ორი სიტყვით, რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ ამ დარგში? აქ ჩვენ უნდა დავრჩეთ ძველი პოლიტიკის ფარგლებში. წარსულ წელში ჩვენ ვნახეთ ორი დიდი მაგალითი: კერზონის ნოტა და მზადება გერმანიის რევოლიუციისათვის. კერზონის ნოტის დროს ჩვენ გამოვიჩინეთ მაქსიმალური დათმობა და სიფრთხილე. გერმანიის რევოლიუციისათვის მზადების დროს ჩვენ ვემზადებოდით ამბების თავბრუდამხვევ და საშიშ განვითარებისათვის. მე ვფიქრობ, რომ ამ ორი მომენტის გაერთიანება—უდიდეს სიფრთხილის და მომენტის, როდესაც ჩვენ ვემზადებოდით ამბების თავბრუდამხვევ განვითარებისათვის, როდესაც ჩვენ ველოდით, რომ იფეთქებდა ბრძოლა და დაჰკრავდა საათი—ამ ორი შემადგენელ ნაწილისაგან უნდა შესდგებოდეს შემდეგშიაც ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკა, როგორც ამას გვასწავლიდა ვლადიმერ ილიჩი. არა ერთხელ და ორჯერ შევცდებით ჩვენ მომენტის არჩევაში, მაგრამ ძირითადი ხაზი ამ სფეროში დარჩება ძველი. ჩვენ არ წავალთ ახალ დათმობაზე საერთაშორისო კაპიტალის მიმართ მისი უფრო ჩქარა მოწვევისათვის. არ არის ჩვენთვის საჭირო მისი მეტისმეტად დაჩქარებით მოწვევა. მართალი არ არიან ის ამხანაგები, რომელნიც ამ საკითხში ნერვიულობას იჩენენ. როდესაც ჩვენ უარი უთხარით ურკარტს კონცესიებზე, ამხ. ლენინს და პარტიის ცეკას ჰქონდათ სხვადასხვა მოტივები, მაგრამ გადამწყვეტი მომენტი ამხ. ლენინისათვის ის მოტივი კი არ იყო, რომ ურკარტის პირობები მეტისმეტად ცუდია—ისინი, მართლაც, ცუდებია,—არამედ მეორე მომენტი. როდესაც ჩვენ ახლო მივუდექით ამ საქმეს, ამხ. ლენინში სჭარბობდა ასეთი განწყობილება: უკეთესია რუსეთი იყოს ღარიბი, რუხი, თანდათანობითი აღორძინების პროცესში მყოფი, მაგრამ—საკუთარი. ევროპიელ მტაცებლების შემოშვება განსაზღვრული დოზით აუცილებელია, მაგრამ მეტისმეტი აჩქარება ამ საკითხში არ არის საჭირო და განსაკუთრებით მსხვილ მტაცებლების შემოშვება დიდის სიფრთხილით უნდა სწარმოებდეს. მე ვფიქრობ, რომ ეს ძირითადი განწყობილება სწორი იყო და სწორათ რჩება ეხლაც, და ჩვენ, ჩვენი საბჭოთა კავშირის პატრონებმა, პატრონებმა ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, ეხლა, როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ სამეურნეო აღორძინება სწარმოებს ნელა, მაგრამ მტკიცეთ, ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ამავე აზრით: უმჯობესია ჩვენი ღარიბი ქვეყანა, რომელიც ნელნელა მიდის აღორძინების გზაზე, მაგრამ საკუთარი. რადგან თუ ჩვენ ფართოთ გაუხსნით კარებს უცხო მტაცებლებს, მაშინ ეს განუყრელათ დაკავშირებული იქნება იმ საკითხთან, რომელიც სისწორით დააყენა პროკოპოვიჩმა „მათი“ უფლებების შესახებ. ოპოზიციის შორის იყვენ ამხანაგები, რომელნიც ფიქრობდენ, რომ საჭიროა ახალი ეკონომიური პოლიტიკის შეზღუდვა. მაგრამ ამ უკანასკნელს აღმოაჩნდა გავლენიანი ხალხიც, რომელიც ამბობდა, რომ საჭიროა დაჩქარებით იქნეს მოწვეული საერთაშორისო კაპიტალი და მას დაეთმოს უფრო მეტი, ვიდრე აქნამდის იყო. და მათ არ ესმოდათ, რომ სწორეთ ეს არის საუკეთესო საშუალება „ნეპის“ გაძლიერებისათვის ქვეყნის შიგნით, ახალ „საბჭოთა“ ბურჟუაზიის უდიდესი გაძლიერება. არა, ამ საკითხში აჩქარება არ გამოდგება.

საერთაშორისო პოლიტიკაში საკითხები ეხლა მეტისმეტად საინტერესო ხდებიან. მაკდონალდი, ინგლისის ეხლანდელი პრემიერი, გუშინ მე-2 ინტერნაციონალის ბელადი იყო. ფაქტიურად მან დასტოვა მეორე ინტერნაციონალის რიგები, მაგრამ ფაქტიურად ის რჩება მის წევრად და ბელადად. მეორე ინტერნაციონალმა მაკდონალდის სახით უნდა დაგვანახოს თავისი დამოკიდებულება მესამე ინტერნაციონალისადმი, რომელსაც ანსახიერებს დღევანდელი ყრილობაც, მოსკოვი. ლონდონი და მოსკოვი ეხლა რამოდენიმეთ მეორე და მესამე ინტერნაციონალებია. ასეთი მდგომარეობა ჯერ არ ყოფილა. მეორე ინტერნაციონალის ბელადები იყვენ უკვე სახელმწიფოების ბელადებად, მაგრამ არაპირველხარისხოვან ქვეყნებში. ინგლისი—პირველხარისხოვანი ქვეყანაა, და ეხლა ჩვენ გვაქვს ისეთი სურათი, როდესაც მეორე ინტერნაციონალმა ინგლისის ბურჟუაზიის დავალებით მანევრები უნდა აწარმოოს მესამე ინტერნაციონალის, ჩვენი რევოლიუციის მიმართ. საერთაშორისო განწყობილებაში ეხლა ბევრი რამ საინტერესო არის მოსალოდნელი. მე ვფიქრობ, რომ პოლიტიკა ჩვენი ცენტრალური კომიტეტის, რომელიც იძულებულია იმუშაოს ულენინოთ, შემდგარი იქნება შემდეგ მომენტებისაგან: სიფრთხილე, „ბალანსიროვკა“ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მიმართ, დიდი სიფრთხილე იმისათვის, რომ არ გამოვიწვიოთ ომი, რომელსაც ჩვენ ვერ დაუშვებთ. მაგრამ ამასთანავე სიჩქარე და შეტევა, როდესაც მომწიფდება შესაფერი მომენტი, როგორც ეს სჩანდა გერმანიაში, პოლონეთში, ბულგარეთში და როგორც ეს ხვალ შეიძლება მოიხაზოს მთელი რიგ სხვა სახელმწიფოებში, რადგან მდგომარეობა არ არის მტკიცე. იმავე გერმანიაში დღეს გაფიცულია 600 000 მუშა. საერთაშორისო ბურჟუაზიისათვის დათმობის საქმეში ჩვენ ვაწარმოებთ ძველ ძირითად ხაზს: ნუ აჩქარდებით ყოველგვარ კონცესიების გაცემაში, არამედ გავსცეთ ისეთები, რომელნიც ჩვენთვისაც სასარგებლო იქნება. ჩვენ, რასაკვირველია, გავსცემთ ამა თუ იმ კონცესიას, მაგრამ ჩვენ ყოველთვის მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ უკეთესია საბჭოთა ქვეყანა, რომელიც ნელნელა მიდის აღორძინების გზაზე, ვიდრე უკან მოუხედავათ, დაჩქარებით შემოუშვათ საერთაშორისო მგლები. ამაში შედის საგარეო ვაჭრობის მონოპოლიაც (ტაში).

მეორე საკითხია—ახალი ეკონომიური პოლიტიკა. ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლები რჩება ურყევათ და დიდი ხნით. გეგმა ჩვენ გვაქვს, ეს გეგმაა—ელექტროფიკაცია. საჭიროა „გაიკების მოჭერა“ კოოპერაციის სფეროში, იმ წერილის თანახმად, რომელიც დაგვიტოვა ჩვენ ვლადიმერ ილიჩმა. ჩვენ უნდა გავამაგროთ კოოპერაცია სოციალისტურ საფუძვლებზე, რადგან კოოპერაციას შეუძლია და უნდა გახდეს კიდეც ეხლა სოციალიზმის ნატეხათ. მესამე—კიდევ უფრო დავეყრდნოთ მუშათა კლასს მთელ ჩვენს პოლიტიკაში. მეოთხე—კიდევ უფრო გავხადოთ მთელი პოლიტიკის საფუძვლათ პროლეტარიატის და გლეხობის დაკავშირება. ჩვენ უნდა შევიჭრათ სოფლის ყველა კუნჭულებში. ჩვენ ამ დაკავშირებას კონკრეტიული სახე უნდა მივცეთ.

მეხუთე: პროფკავშირები. საკითხი პროფკავშირების შესახებ შეუმჩნეველი დარჩა მთელი ჩვენი დისკუსიისათვის. მაგრამ ასე თუ ისე—ეს საკითხი მაინც სდგას. პროფკავშირები—ჩვენი ძირითადი ციხე-სიმაგრეა. იქ იზრდებიან და მტკიცდებიან მუშათა თაობანი. ასი ათასს ჩვენ წავიყვანთ პარტიაში, მაგრამ მილიონებმა ჯერ კიდევ უნდა გაიარონ სოციალიზმის სკოლა პროფკავშირებში. მუშათა დემოკრატიის პრინციპმა, რომელიც ჩვენ სერიოზულათ შემოვიღეთ პარტიაში, მით უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა მიიღოს პროფკავშირებისათვის.

მეექვსე—მოსახლეობის დანარჩენი ფენები. წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტების თავმოყრა პარტიის ცალკე ჯგუფების გარშემო,—აი ის ახალი, რაც ჰაერშია გამოკიდული, რასაც ჩვენ ყველანი ვგრძნობთ. ჩვენთვის ეხლა, ამხანაგებო, საშიში არ არის ბურჟუაზიის ან წვრილ ბურჟუაზიის საბოტაჟი. ჩვენთვის საშიშია ის, რომ წვრილი ბურჟუაზია ჩვენ თანდათან გარს გვეხვევა. ჩვენთვის საშიშია ის, რომ ბურჟუაზია შემოდის ჩვენს რიგებში ზოგიერთი პირების საშუალებით. ის დადის პარტიის ახლოს და გავლენას ახდენს პარტიის ცალკე ჯგუფებზე, ცალკე ფენებზე, თავის გავლენის ქვეშ იქცევს, მოსწავლე ახალგაზრდობის ნაწილს. ეს ახალი პოლიტიკური მოვლენაა. ჩვენ უნდა მივიღოთ ყველა ზომები იმისათვის, რომ გამოვიყენოთ მოსახლეობის ეს ფენები, არაბოლშევიკ მოსწავლეთა ჯგუფები, გამოვიყენოთ მოსახლეობის ყველა ჯგუფები, რომელმაც პირველათ არა შიშის, არამედ სინიდისის ქვეშ იცნო საბჭოთა ხელისუფლება. მაგრამ ჩვენ უნდა დავიცვათ პარტია წვრილ ბურჟუაზიის შემოტევისაგან. ჩვენ უნდა მივიღოთ ყველა ზომები იმისათვის, რომ დავიცვათ მისგან ჩვენი პარტია, რომ დავიცვათ წვრილ ბურჟუაზიის ამ შემოტევისაგან მოსწავლე ახალგაზრდობის ყველაზე უფრო სუსტი, ხერხემალ გაუმაგრებელი ნაწილი.

მეშვიდე—ეროვნული საკითხი. ჩვენ ეს საკითხი სისწორით გადავჭერით. ჩვენ ის მთლიანათ გადავსწყვიტეთ ისე, როგორც ამის შესახებ სწერდა ვლადიმერ ილიჩი. მაგრამ ნაციონალური კომუნისტური პარტიები მხოლოდ ეხლა ეწყობიან. იქ კომუნისტების ფენი ჯერ კიდევ ახალგაზრდა და თხელია. ნაციონალური პოლიტიკა ჩვენ საერთოდ სწორათ გვაქვს შემუშავებული. მე ვფიქრობ, რომ საუკეთესო მდგომარეობა ამ ძირითად საკითხში იქნება ასეთი: ჩვენი პარტიის ცეკამ ნაციონალურ საკითხებში უნდა იმუშაოს ისე, რომ მოსპოს ყოველგვარი ნაციონალურ საკითხების აღმოცენების შესაძლებლობა. აი ეს იქნება ნაციონალური საკითხის სწორი გადაჭრა (ტაში).

მერვე საკითხი: სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესება. მე უკვე შევეხე ამ საკითხს. ესეც ჩვენ გვიანდერძა ვლადიმერ ილიჩმა. აქაც აუარებელი სამუშაოა. მე მინდა მოგაგონოთ ვლადიმერ ილიჩის სიტყვები, რომელიც სთქვა მან 1921 წელში პავლე ლევის წინააღმდეგ. ის სწერდა: „უდიდეს, ქვეყნიერებისათვის უცნობ ძალთა დაძაბვის შემდეგ მუშათა კლასისათვის წვრილ-გლეხურ აოხრებულ ქვეყანაში, რომელმაც დიდი უბედურება გადიტანა დეკლასირობის გამო, საჭიროა დრო, რომ ახალი ძალები წამოიზარდონ, გასწორდენ, რომ ძველმა და გაცვეთილმა ძალებმა მოახერხონ თავისი თავის „შეკეთება“. სამხედრო და სახელმწიფო აპარატის შექმნა, რომელმაც შესძლო ბრწყინვალეთ დაეჭირა გამოცდა 1917—1921 წლებში,—დიდებული საქმეა, რომელსაც მოუნდა და რომელმაც ამოწურა „მუშათა კლასის ძალები“.

„უნდა გავიგოთ ეს და ანგარიში გაუწიოთ აუცილებლობას იმის შესახებ, რომ ახალი ძალების მომატება ნელი ტემპით იწარმოებს“.

---

*) დასასრული: იხ. „კომუნისტი“ № 34, 36, 37, 38.

არსებობს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიები, რომელთა ფრაქციები მუშაობენ კავშირის სატარიფო განყოფილების უშუალო ხელმძღვანელობის და მუდმივი ინსტრუქციების ქვეშ. უეჭველად დიდი როლი ითამაშა ასეთმა ორგანიზაციამ ჩვენი მუშაკების ინტერესების სწორ დაცვაში.

სკოლის მუშაკნი შეადგენენ კავშირის წევრთა არა ნაკლებ 90 პროც. მათი ნაწილი ადგილობრივ ბიუჯეტის ანგარიშზე ცხოვრობს;

განათლების ყველა დანარჩენი მუშაკნი სახელმწიფოს ხარჯზე არსებობდნენ. სკოლების ტეხნიკური პერსონალი, რომელიც მაისამდე სახელმწიფო ხარჯზე იყო, სხვა მუშაკებთან ერთად ღებულობდა სახელმწიფო მინიმუმის მიხედვით, მაისიდან კი, რადგანაც ის უნდა გადაყვანილ ყოფილიყო ადგილობრივ ხარჯზე, კავშირის წინ აღიმართა ამოცანა, რათა გადასვლა უმტკივნეულოდ ყოფილიყო. სამწუხაროდ, პროვინციაში, მრავალ მაზრებში ამ გადასვლამ შექმნა ის მდგომარეობა, რომ ტეხნიკურ პერსონალს ჯამაგირი არ მიუღია მთელ რიგ თვეების განმავლობაში. ჩვენი კავშირის სატარიფო განყოფილების ცდით საკითხი ასე თუ ისე მოგვარებულ იქნა. და ზოგ მაზრებში ტეხნ. თანამშრომლებმა მიიღეს ჯამაგირი სახელმწიფო მინიმუმის მიხედვით, ზოგან კიდევ მეტიც, ამ გადასვლამ გამოიწვია, სხვათა შორის, მრავალ ტეხნიკურ თანამშრომელთა შემცირება და ხშირად სასკოლო საქმისთვის ზიანის მიყენება.

მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ემჩნეოდა სხვადასხვა გვარობა ხელფასის საკითხისა ტფილისსა და პროვინციაში.

მუდმივმა ბრძოლამ ჯამაგირის თავის დროზე მიღებისათვის და ფონდების საკმარისობისათვის მხოლოდ მინიმალური შედეგი მოგვიტანა, ვინაიდან გადამწყვეტ როლს თამაშობდა რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობა, რომლისთვის ანგარიშის არ გაწევა ჩვენ არ შეგვეძლო.

საკითხის მთელი მოცულობით დასმამ, წამოყენებულ მოთხოვნილებებმა ხელფასის გადიდების შესახებ, მოგვცა 1 დეკემბრიდან 14 პროც. დამატება. ამის მიღწევას დასჭირდა მთელ ძალთა დაჭიმვა როგორც კავშირის, ისე საქ. პროფ. კავშირ. საბჭოს და უმაღლეს პარტიულ და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციების მხრით.

მდგომარეობა პროვინციაში.

მდგომარეობა პროვინციაში გაცილებით რთულია, თუ არ ვიანგარიშებთ განსხვავების სარტყლობაში. განათლების მუშაკის მდგომარეობა პროვინციაში იგივე უნდა იყოს, როგორც თბილისში. მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, როგორც მაგ. დიდად დაგვიანებამ, ადგილებზე მიღებულ ფულის არა პირდაპირი დანიშნულებით დახარჯვამ, რაიმე აღრიცხვის სრულმა უქონლობამ ამა თუ იმ მაზრისათვის საჭირო ფონდის შესახებ როგორც კავშირის, ისე სახ. განათ. კომისარიატის ადგილობრივ აპარატების სისუსტემ შექმნა აბსოლიუტურად შეუძლებელი მდგომარეობა: ჩვენ დავდექით დიდი დავალიანების წინაშე. განათლების მუშაკი ხშირად არ ღებულობდა 50 პროც.-კი იმისა, რაც მას ერგებოდა. განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ მხრივ 1923 წლის იანვარი, თებერვალი და მარტი, შესაფერისი მუშაობით თანდათან შევძელით მოგვეწესრიგებია საკითხი ხელფასის სწორად მიცემისა და ივლისისათვის თითქმის ყველა მაზრებში, გარდა ორი-სამისა, ჩვენ გვქონდა ისეთი მდგომარეობა, როდესაც ადგილობრივი განყოფილება საკმარის თანხებს ღებულობდა. მიუხედავად ამისა ადგილობრივი ხაზინების მიერ კრედიტების თავის დროზე რეალიზაციის საკითხი ფულის ნიშნების უქონლობის გამო დღესაც არ არის მოგვარებული.

კავშირის ერთ სუსტ მხარეთ უნდა ჩაითვალოს არა საკმაო ცოდნა ჩვენი დაწესებულებათა შტატის, მომუშავეთა კვალიფიკაციის, საჭირო განაკვეთების რაოდენობის სხვადასხვა ტიპის დაწესებულებათათვის.

ბინის საკითხი.

კავშირის წევრთა ბინის მხრით დახმარების გასაწევად—შევედით საქართ. პროფკავშირთა საბჭოს საბინაო კოოპერატივის ამხანაგობაში, მივიღეთ 9 სახლი ტფილისის სხვა და სხვა რაიონებში. კავშირმა მოაწყო 20 ოთახში 16 ოჯახი—43 სულით (თებერვალ-აგვისტოს განმავლობაში).

ივლისში სახელმწიფო სანატორიუმში კავშირის ავადმყოფ წევრთათვის დაგვეთმო ადგილების მეტად განსაზღვრული რიცხვი (7—8) ბოლოს შევძელით 12 წევრის გაგზავნა.

ურთიერთ დამხმარე ფონდი.

კავშირის პრეზიდიუმმა, გაითვალისწინა რა ავადმყოფთა და მათი ოჯახების დახმარების აუცილებლობა, ზაფხულში დაიქირავა ურთიერთ დამხმარე ფონდიდან ბინები საუკეთესო აგარაკებზე: კოჯორში, წაღვერში, ბორჯომში, ცემში. სულ დავიქირავეთ 50 ოთახი. აგარაკებზე გაგზავნა სწარმოებდა ორ რიგად: სულ გაიგზავნა 181 კაცი, დასასვენებელ სახლებში გაიგზავნა 278 კ. ამათგან მცხეთაში 210, ბორჯომში 29, წაღვერში 39.

ურთიერთ დახმარების ფონდიდან კავშირმა შეიძინა „მშრომელი ულუფები“. უკანასკნელი განაწილდა შემდეგი განრიგებით: 25 პროცენტი მიეცა უმუშევრებს, 50 პროცენტი ფიზიკურ მომუშავეთ (სკოლების დარაჯებს და შიკრიკებს) და 25 პროცენტი გონებრივ მომუშავეთ. ულუფები ეძლეოდათ ისეთ წევრებს, რომლებიც საჭიროებდნენ გაძლიერებულ კვებას. შემდეგ 5 თვის განმავლობაში, ნატურალური ულუფის მაგივრად ვარიგებდით მის ეკვივალენტს ფულად.

რაიონული ადგილკომები შრომის ინსპექციასთან ერთად ახდენდენ ყოფა ცხოვრების და შრომის პირობების გამოკვლევას ზოგიერთ დაწესებულებებში, როგორც, მაგალითად, საბავშვო სახლებში და სახელმწიფო უნივერსიტეტში (ანატომიურ თეატრში).

საანგარიშო დროის განმავლობაში დამზღვევ სალაროს და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის წინაშე აღძრულია 90 შუამდგომლობა მუდმივი პენსიის თუ დახმარების მისაღებად (როგორც პედაგოგიურ პერსონალის შესახებ, ისე ტეხნიკურისაც).

პენსიის რაოდენობა ქანაობს 10 მ. 50 კ. (ჩერვ.)—5 მ. 25 კ. თვეში.

უმუშევრობა.

უმუშევრობას პროვინციაში მხოლოდ შემთხვევითი და ერთეული ხასიათი აქვს და მხოლოდ ტფილისში აღწევს ის ასე თუ ისე მნიშვნელოვან რიცხვს 400 კ. ამათგან უფრო კვალიფიციური ნაწილი (14 პროც.) დაზღვეულია. კავშირი თავის უმნიშვნელო ფონდიდან მაინც უწევდა დახმარებას უმუშევარ ამხანაგებს, საერთოდ იმ თანხის რაოდენობაზე რაიც ზევით იყო აღნიშნული.

მოხსენების დასრულების შემდეგ ამხ. გეგენავას აძლევენ მთელ რიგ შეკითხვებს, რომელიც უმთავრესად შეეხება მასწავლებლობის ნივთიერ უზრუნველყოფას, მომავალი სატარიფო ეკონომიური მუშაობის გეგმას და მასწავლებელთა მდგომარეობის გამორკვევას პროვინციაში სალამოს სხდომა უნდება შეკითხვაზე პასუხის გაცემას.

მეცნიერება და ტეხნიკა

ერნესტ შეკლეტონი.

(1874—1922).

მთელ რიგ გეოგრაფიულ აღმოჩენებს შორის სამხრეთ-პოლიუსის აღმოჩენა და მის გარშემო მდებარე მატერიკის შესწავლა 20 საუკუნის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს. კაპიტან სკოტტის და ამუნდსენის სახელებთან ერთად ერნესტ შეკლეტონის სახელი სამუდამოდ დარჩება კაცობრიობის მეხსიერებაში, როგორც სახელი ისეთი ადამიანის, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა მეცნიერების საქმეს.

შეკლეტონების ოჯახი იორკშირიდან (ინგლისი) იყო და ეკუთვნოდა კვაკერების სექტას, რომელსაც ინგლისში სდევნიდენ დიდი ხნის განმავლობაში. შეკლტონების ოჯახი მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გადასახლდა ირლანდიაში. აქ თითქმის ასი წლის შემდეგ 1874 წლის 15 თებერვალს (50 წლის წინეთ) კილდარის საგრაფოში დაიბადა ჩვენი დროის უდიდესი მკლევარი ერნესტ შეკლეტონი.

ძლიერ უჭირდა ერნესტის მამას მრავალრიცხოვანი ოჯახის გამოკვება და 35 წლის კაცმა დაიწყო მედიცინის შესწავლა. ჩაიბარა გამოცდა და გადასახლდა ინგლისში.

სკოლაში ერნესტი ძლიერ ცუდად სწავლობდა, ურჩი და თვითნება იყო. საგნებიდან ყველაზე უფრო გეოგრაფია და ისტორია უყვარდა.

მამას უნდოდა, რომ შვილი ექიმი გამოსულიყო. ამ ნიადაგზე მათ უთანხმოება ჰქონდათ.

ამის გამო 17 წლის ერნესტმა 2 მანეთით ჯიბეში და თავისი საყვარელი პოეტის ბრაუნინგის ლექსების წიგნით ილლიაში დასტოვა მშობლების სახლი. ლივერპულში ის ხელზე მოსამსახურედ მიიღეს ერთ გემზე. ძლიერ ძნელი იყო ახალგაზრდა შეკლეტონისათვის ახალი ცხოვრება, მაგრამ ცნობის მოყვარე ბუნებამ ყველაფერი დასძლია. რამდენიმე წლის განმავლობაში შეკლეტონმა თავისი გემით რამოდენიმეჯერ შემოუარა დედამიწას, მრავალი ახალი ქვეყნები და ხალხი ნახა.

1901 წელს ის მონაწილეობას იღებს, როგორც მესამე ლეიტენანტი კაპიტან სკოტტის ექსპედიციაში გემ Discovery-ზე („აღმოჩენა“). იმავე წლის დეკემბერში სკოტტის ექსპედიციამ დასტოვა ახალი ზელანდია. გამოიკვლია როსსის მიწის ყინულის ბარიერი და ზამთარი გაატარა ცნობილ ერებუსის მეყინვართან. ყინვა 53 გრად. უდრიდა ცელსით. მაგრამ სკოტტი, ვილსონი და შეკლეტონი მარხილით გაემგზავრენ სამხრეთისაკენ საშინელ ქარბუქში: მრავალჯერ მოელოდათ მათ სიკვდილი. ნახევრად ცოცხალ-მკვდარი დაბრუნდენ ისინი თავის გემზე.

1908 წლის პირველ იანვარს გემ „ნიმროდით“ ერნესტ შეკლეტონი კვლავ გაემგზავრა ახალი ზელანდიიდან სამხრეთ-პოლიუსისაკენ. ახლა ის უკვე თვითონ იყო ექსპედიციის უფროსი.

„ნიმროდზე“ 15 კაცი იყო, ექსპედიციას ჰყავდა მანჯურიის ცხენები და ძაღლები, ჰქონდათ ავტომობილი. როსის კუნძულზე (გრაამის მიწის ახლო) მან მოაწყო სადგომი. 1908 წ. 29 ოქტომბერს ის ადამსის, მარშალის და ვილდის თანხლებით გაემგზავრა სამხრეთისაკენ. მოგზაურები გასცილდენ იმ წერტილს, რომელსაც კაპიტანმა სკოტტმა მიაღწია და განაგრძეს გზა. ყველა ცხენები დაეხოცათ.

პოლიუსამდი 180 კილომეტრი დარჩა. არც ერთი მკლევარი ასე ახლო არ ყოფილა პოლიუსთან. მაგრამ პირდაპირ შეუძლებელი გახდა თავდადებული მკვლევარებისათვის გზის გაგრძელება. აქ აღმართა შეკლეტონმა ინგლისის დროშა. 4 თვის შემდეგ 1909 წლის 27 თებერვალს შეკლეტონი თავისი თანამგზავრებით დაბრუნდა „ნიმროდზე“ და მარტში უკვე ახალ ზელანდიაში იყო.

თავისი მეცნიერული შედეგებით შეკლეტონის მეორე ექსპედიციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, მათ გამოარკვიეს, რომ სამხრეთის ნახევარ სფეროს ეს ნაწილი წარმოადგენს უზარმაზარ მთაგორიან ადგილს, რომელიც 3.000 მეტრით მაღლა ძევს ზღვის ზედაპირზე.

დიდი ხნით არ დაუსვენია ახალგაზრდა მკვლევარს, ინგლისის მთავრობამ მას 10.000 გირვანქა სტერლინგი მისცა ახალი ექსპედიციის მოსაწყობად. მან შეიძინა ორი გემი „მოთმინება“ და „ავრორა“.

1914 წლის 6 სექტემბერს „მოთმინებამ“ დასტოვა კუნძული სამხრეთ გეორგია, ფალკლენდის კუნძულებიდან აღმოსავლეთით. გზაში გემი გაჭყანა და 1915 წლის 28 ივლისს გემი დაიღუპა. გემის შემადგენლობამ მოასწრო ყინულზე გადმოსვლა. ხმელეთი 640 კილომეტრით იყო დაშორებული. 1916 წლის აპრილამდი დაჰყო ექსპედიციამ ყინულზე. მხოლოდ 16 აპრილს მიაღწიეს საშინლად დაღლილ დაქანცულებმა სპილოს კუნძულამდი. მაგრამ ამ უდაბურ კუნძულზე ამაო იყო დახმარების ლოდინი.

შეკლეტონმა მიიღო გმირული გადაწყვეტილება და წავიდა ხუთი კაცის თანხლებით კუნძულ სამხრეთ გეორგიისაკენ. ნავით საშინელ ყინვაში მან თითქმის 1500 ვერსი გაიარა ყინულიან ოკეანეში. მეზღვაურებმა მიაღწიეს მიზანს.

მაგრამ ნორვეგიულ მეზღვაურების გემებმა ვერ გაიკაფეს გზა ყინვებში. მაშინ შეკლეტონი გაემგზავრა არგენტინაში. ჩილის რესპუბლიკაში მან მიიღო ჯავშნიანი გემი „ველხო“, რომელმაც გასჭრა ყინული და 1916 წლის 30 აგვისტოს მან გადაარჩინა შეკლეტონის მხლებლები.

შეკლეტონმა დაუწყო ძებნა თავისი ექსპედიციის მეორე რაზმს („ავრორა“). სამი კაცი ექსპედიციიდან, მათ შორის ექსპედიციის უფროსი მაკინტოში, დაღუპულიყო.

დაბრუნდა თუ არა სამშობლოში შეკლეტონმა დაიწყო მზადება ახალი, მეოთხე, ექსპედიციისათვის.

1921 წლის 21 სექტემბერს შეკლეტონმა გემ „გამოკვლევით“ დასტოვა პლიმუტის ნავთსადგური. 1922 წლის 4 იანვარს შეკლეტონი მოულოდნელად გარდაიცვალა.

„გამოკვლევა“ განაგრძობდა გზას, შეკლეტონის ნეშტი კი გადაგზავნეს მონტევიდეოში, რომ იქიდან ინგლისში გადაეტანათ. მაგრამ შეკლეტონის მეუღლემ სურვილი გამოსთქვა, რომ შესრულებული ყოფილიყო განსვენებულის ანდერძი და დაესაფლავებინათ ის იმ ადგილებში, რომელთა გამოკვლევას სიცოცხლე შესწირა. მისი სურვილი შეასრულეს და შეკლეტონი დაასაფლავეს კუნძულ სამხრეთ გეორგიას სასაფლაოზე—Gritviken, უბრალო მეზღვაურებს შორის, რომლებთანაც ცხოვრობდა ის და ძლიერ უყვარდა.

უსაფუძვლო შიში

(საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის ცნობა)

უკანასკნელ დროს ქალაქში გავრცელებულია ხმები კავკასიაში მოსალოდნელ მიწის ძვრის შესახებ.

საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიას არ აქვს არავითარი ამ ხმების გამამართლებელი სამეცნიერო საბუთები.

სეისმიური მოქმედება უკანასკნელ დროს კავკასიაში მიმდინარეობს ჩვეულებრივად და არ იძლევა არავითარ საბაბს რაიმე მოსალოდნელ საშიშროების შესახებ.

საქონლის მანეთის ახალი კურსი

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატიდან.

აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 1924 წ. 15 თებერვლისათვის.

ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს 17 მაისის დადგენილება № 52-ის საფუძველზე ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ. კომისია ამით აცხადებს, რომ აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 10 (ათი) მანეთის ფასობის კვალობაზე ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით ამა წლის 15 თებერვლისათვის განისაზღვრება—459 0000 000 მანეთით.

ამავე რიცხვისათვის საქონლის მანეთის ღირებულება განისაზღვრება —459.000.000 მან.

საქ. შრომის სახალხო კომისარი—ა. მიქაძე
საქმეთა მმართველის მაგიერ—ა. აბესაძე.

ქრონიკა

გოგიტა ფაღავას დაპატიმრება

გუშინ, 1 საათზე, საგანგებო კომისიის აგენტებმა შეიპყრეს ტფილისში ალექსანდრეს ქუჩაზე (სახლი № 41) ბანდიტების ბრბოების ხელმძღვანელი და მენშევიკური არალეგალური ცეკას წევრი, გოგიტა ფაღავა.

— **ახლობელი მიწის ძვრები.** ა. წ. 15 თებერვალს საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიის სეისმოგრაფებმა აღნიშნეს ორი სუსტი ახლობელი მიწის ძვრა. პირველი—14 თებერვალს 13 საათზე და სამ წუთზე, მეორე—იმავე დღეს 13 საათზე და 14 წუთზე. კერა დაშორებულია არა ნაკლებ ასი კილომეტრისა, მიმართულება გაურკვეველია.

— **ჟურნალი „მოამბე“.** გამოვიდა და იყიდება სრულიად საქართველოს ცაკისა და სახ. კომ. საბჭოს ჟურნალი „მოამბის“ № 1. ჟურნალში მოთავსებულია ოფიციალური და არაოფიციალური მასალები. ოფიციალურ ნაწილში შედის: სრ. საქართველოს ცაკის დებულება, სახ. კომ. საბჭოს დადგენილება-დეკრეტები, სრ. საქართველოს საბჭოთა მე-2 ყრილობის რეზოლიუციები, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, სოციალურ უზრუნველყოფის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთა ცირკულიარები, დადგენილებანი, ინსტრუქციები და სხვ. არაოფიციალურ ნაწილში მოთავსებულია სხვადასხვა ხასიათის წერილები. ჟურნალი იხსნება ამხ. ლენინის სურათით, შემდეგ მოთავსებულია წერილები და მოწოდებები ლენინის გარდაცვალების გამო ჟურნალი შეიცავს 68 გვერდს და ღირს 60 კაპ. ჩერვ. სახელმწიფო დაწესებულებებს ჟურნალი ეთმობა 50 პროცენტის დაკლებით.

— **ბუღალტერიის სახელმძღვანელო.** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა გასასყიდათ ა. ინწკირველის მიერ შედგენილი წიგნი „ბუღალტერიის ზოგადი კურსი“.

— **ქალაქის კეთილ-მოწყობისათვის.** ქ. აღმასკომმა დაადგინა ქალაქის კეთილ-მოწყობის საჭიროებათათვის კეთილ-მოწყობის განყოფილებას ყოველთვიურად ეძლიოს 50,000 მან. ჩერ., ხოლო ყოველ კერძო შემთხვევაში ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებული იქნას ცალკე.

— **ცეცხლის მქრობელ ავტო-მანქანის შეძენა.** ქ. აღმასკომმა კომუნალურ განყოფილებას დაავალა აფხაზეთის სახ. კომისართა საბჭოსთან შეთანხმებით, სოხუმისათვის შეიძინოს ერთი ცეცხლის მქრობელი ავტო-მანქანა.

— **განათლების კომისარიატი ახალ ბინაზე.** ახლო ხანში განათლების კომისარიატი გადაყვანილი იქნება ახალ ბინაზე სასურსათო კომისარიატის ყოფ. ბინაზე, ხოლო განათლების კომისარიატის ბინაში მოთავსებული იქნება ცეკავშირი, ამ უკანასკნელის ბინაზე კი რუსეთ-შვეციის ბანკი.

— **საფაბრიკო-საქარხნო შეგირდთა სკოლის გახსნა.** ქ. აღმასკომმა დაადგინა საფაბრიკო-საქარხნო შეგირდთა სკოლის გასახსნელათ—წინადადება მიეცეს საფინანსო განყოფილებას სკოლის ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიში გაიღოს 10,000 მ.

— **დახმარება—გარდაცვალების გამო.** დამზღვევმა კასამ 1923 წ. განმავლობაში თავის წევრთა გარდაცვალების გამო დახმარების სახით გაიღო 49 მილიარდი და 870 მილიონი.

— **ხმა მაღლა მოლაპარაკე ტელეფონები.** ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატმა საზღვარგარეთიდან მიიღო ხმა-მაღლა მოლაპარაკე ტელეფონები, რომლის საშუალებით შეიძლება სხვადასხვა ადგილას მოსმენილ იქნეს მიტინგი, ოპერა და სხ. ტფილისში განზრახულია ამგვარი 8 ტელეფონის მოწყობა განსაკუთრებით მუშათა კლუბებში.

— **ბრძოლა სასოფლო-მეურნეობის მავნეებთან.** შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა ყველა ადგილობრივ ორგანოებს წინადადება მისცა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ მიწათმოქმედების კომისარიატს სასოფლო-მეურნეობის მავნეებთან ბრძოლაში.

— **შინაგან საქ. კომისარიატის ბიულეტენები.** შინაგან საქ. კომისარიატის საინფორმაციო განყოფილებამ დაიწყო ბიულეტენების გამოცემა. ბიულეტენებში მოთავსებული იქნება კომისარიატის საყურადღებო ცნობები. ჯერჯერობით გამოიცემა ორი ბიულეტენი.

— **სათემო აღმასკომების გაუქმება.** სრ. საქ საბჭოების მეორე ყრილობის დადგენილების თანახმად, შინაგან საქმეთა კომისარიატმა გასცა განკარგულება ყველა სათემო აღმასკომების გასაუქმებლათ.

— **მინერალურ წყლებზე.** 1923 წლის განმავლობაში კურორტ ახტალაზე და წყალტუბოს მინერალურ წყლებზე მკურნალობდა 8 222 კაცი.

— **საექიმო დახმარება სვანეთს.** ჯანმრთელობის კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საქ. სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა სვანეთში 2 საექიმო პუნქტის გარდა გახსნილ იქნეს 1 კბილის საექიმო კაბინეტი.

— **შრომის ბირჟა.** 14 თებერვალს შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—176 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა —189, სამუშაოზე გაიგზავნა—87.

შემთხვევები.

— **ცეცხლი.** 13 თებერვალს, საღამოს 9 საათზე სამხედრო ქ. № 18 გაჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრალი იქნა ცეცხლის მქრობელი რაზმის მიერ. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა და ზარალი გამოურკვეველია.

— **ქურდობა.** 13 თებერვალს, დღის 4 საათზე გრიბოედოვის ქ. № 22 გაქურდული იქნა მოქ. ელენე დავითის ასული მიქელ ძის ბინა, საიდანაც წაღებულია სხვადასხვა ნივთები ღირებული 148 მან. ჩერ.

— **მძარცველები ქუჩაში.** 13 თებერვალს, საღამოს 9 საათზე შეიარაღებულ ბოროტმოქმედებმა გაძარცვეს კლასიკურ ქუჩაზე მომავალი მოქ. ბორის მიხეილის ძე ავალიანი, რომელსაც წაართვეს პალტო და მიიმალნენ,

— **აფერისტები.** ზოგიერთ მუშათა მთლიან კოოპერატივების დუქნებში შემჩნეული იყო ფულ გადახდელ ჩეკებით საქონლის გატანა. საქმის გამხრეკის შემდეგ ჩეკები აღმოჩნდენ ყალბი ბეჭედდასმული (შტემპელი). მიღებული ზომებით 14 თებერვალს ერთ-ერთ მუშათა კოოპერატივის დუქანში № 9 შეიპყრეს უცნობი მამაკაცი, რომელსაც აღმოაჩნდა რამდენიმე ყალბი ჩეკი. უცნობი გამოტყდა თავის ბოროტმოქმედებაში და თავისი ამხანაგიც ვინმე [illegible] ქალი ერმაკოვა გასცა. ორივე ბოროტმოქმედი გადაეცა სასამართლოს.

ხელოვნება.

— **სახელმწიფო წიგნ. [illegible]** მთავარ მმართველობამ გამოსცა საბავშვო წიგნი: „რას გვიამბობს ოთახი“ გადმოკეთებული რუსულიდან. წიგნი დასურათებულია და შეიცავს 32 გვერდს.

— **რევოლიუციონურ პიესები.** პროლეტკულტის გამგეობა შეუდგა ქართულ ენაზე რუსულიდან რევოლიუციონურ პიესების გადმოთარგმნას, პიესები დაიდგმება პროლეტკულტის თეატრში.

— **პიანისტ გოროვეცის კონცერტი.** დღეს, სახ. კონსერვატორიაში გაიმართება ცნობილ პიანისტის გოროვეცის მესამე კონცერტი.

დღეს თეატრებში

— **ოპერა**—„კარმენი“ პროფკავ. წევრებისათვის.

— **დრამა**—წარმოდგენა პროფკავ. წევრებისათვის.

— **სახ. სახლი**—რუსული წარმოდგენა.

აღმშენებლობითი მუშაობა შორაპნის მაზრაში

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის პროექტის საფუძველზე სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა შორაპნის მაზრაში მეორე საბჭოთა არჩევნების ჩატარებასთან ერთად ამა წლის იანვრიდან შეუდგა თემების აღმასკომების რეორგანიზაციას, უბნის აღმასკომების მოწყობას: ჭიათურის, ზესტაფონის, ბელაგორის, ჩხარის, საჩხერის, ამაშუკეთის და კორბოულის. ყველა უბნებში სირაიონო აღმასკომებთან არსებობს უბნის მილიციის სამმართველოები, რომლებიც იმყოფებიან სარაიონო აღმასკომის განკარგულებაში და ასრულებენ მათ ყოველგვარ ადმინისტრატიულ დავალებებს. თემებში კი ყველგან არის თემთა საბჭოების თავმჯდომარენი და ხელმძღვანელობენ ადგილობრივ საბჭოებს.

მაზრაში სრული სიმშვიდეა, საშუალებათა მიხედვით დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სააღმშენებლო და კულტ-საგანმანათლებლო მუშაობა. ქ. ჭიათურაში მდინარე ყვირილის მარჯვენა მხარეზე შენდება ასოცი საჟენი სიგრძის დამბა, შენდება მუშათა კლუბი, სწარმოებს წყალსადენის და ელმანქანების შეკეთება. სააქციო საზოგ. „ჩემო“-სთან შეთანხმებით სწარმოებს ორი 250 ძალიანი დინამოს დადგმა „ატლას-დიზელის“ ფირმისა, რომელმაც სამრეწველო და ჭიათურის გარეუბნის მაღაროები უნდა უზრუნველჰყოს ელექტრონით. იდგმება აბანოს გაუმჯობესების მიზნით დიდრონი ქვაბი. მიმდინარეობს კომუნ. მეურნ. განყოფილების განკარგულებაში მყოფ და ნაციონალიზაციაქმნილ შენობების კაპიტალური შეკეთება. კეთდება ქალაქის ქუჩები.

ქვაციხის თემში (ჭიათურის უბანი) მდინარე ბუჯაზე კეთდება ხიდი 14 საჟ. სიგრძით მიღებულია ზომები ხრეითის თემში შოსე-გზის გაყვანის 1 ნახ. ვერსის სიგრძით, რაჭასთან შესაერთებლად.

ჩხარში იდგმება ელსადგური, რომელიც ახლო მომავალში დამთავრდება. აქვე მდინარე ჩოლაბურზე მიმდინარეობს 24 საჟ. სიგრძით ხიდის აგება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქალ. ჭიათურის, ქალ. ზესტაფონის და ჩხარის უბნის მცხოვრებთა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული კავშირისათვის. მთელ მაზრაში სწარმოებს სკოლების შეკეთება, სადაც ამას საჭიროება მოითხოვს. ქ. ზესტაფონში განზრახულია 1922 წლის წყალდიდობის დროს წაღებული ხიდის ადგილზე ახალი ხიდის აღდგენა. მიმდინარეობს საავადმყოფოს და მაზრის საპატიმრო სახლის კაპიტალური რემონტი. კეთდება მუშათა კლუბი და მშვენიერდება ქუჩები. ქუჩების შეკეთება თითქმის მაზრის ყველა თემებში მიმდინარეობს, რასაც ხელს უწყობს კარგი ამინდი. საექიმო დარგის მუშაობა წარსულთან შედარებით ინტენსიურია. 1-ლი აგვისტოდან დღემდე გახსნილია: თერჯოლის, მუხრანის, მოლით-მარელისის და ბოსლევის თემებში საექიმო პუნქტები. ქვაციხის თემში იყო საფერშლო პუნქტი, რომელიც გადაკეთებული იქნა საექიმო პუნქტად კაცხის თემში ამ დღეებში გაიხსნება საექიმო პუნქტი.

აფთიაქები ადრიდანვე არსებობდნენ ქ. ზესტაფონში, ჩხარში, ხარაგოულში, საჩხერში, ჭიათურაში, თერჯოლაში, ზედა-საზანოში და ძარულაში. განზრახულია გაიხსნას აფთიაქი ამაშუკეთის თემში, მოლით-მარელისში და კორბოულში.

სამწუხაროთ უსახსრობის გამო აფთიაქები პირველყოფილ მდგომარეობაში იმყოფებიან, რაც შეეხება საექიმო პუნქტებს მოხერხდა სხვადასხვა იარაღების და ინვენტარით მათი მომარაგება. გაკეთდა და ნაწილობრივ კეთდება ყველა ცნობილი აბანოები, რომლებიც გაცემულია საიჯაროთ სხვადასხვა პირებზე. სანიტ-განათლებას ჯეროვანი ყურადღება ექცევა. დაარსებულ იქნა მაზრის მასშტაბით „ექიმთა, ბუნებისმეტყველთა, ფარმაცევტთა და ვეტერინართა საზოგადოება“. ამ საზოგადოებამ თავს იდვა მაზრის სხვადასხვა ადგილებში ლექციების მოწყობა მცხოვრებთათვის გასაგებ ენაზე.

დაარსებულ იქნა სანიტარული კომისიები ქალაქებსა და დაბებში. შექმნილია კადრი სანიტ. მეზოვებისა, გახსნილია ჯანმრთელობის განყოფილებასთან დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების ქვე-განყოფილება. განზრახულია ჭიათურაში ამბულატორიის მოწყობა, რომელიც აღმოუჩენს დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეებს საექიმო დახმარებას. იანვრიდან დაწყებულია მაზრის მასშტაბით ყვავილის წინააღმდეგ აცრა და სხვ.

მაზრაში სწავლა-განათლების საქმე ნორმალურად მიმდინარეობს. დღეს მაზრაში ირიცხება 147 სკოლა. გადიდებულ იქმნა მასწავლებელთა რიცხვი 111 კაცით, რომლებიც სამაღმასკომის კმაყოფაზე იმყოფებიან. თემების ზოგიერთ სოფლებში დაარსებულ იქნა 21 თითოკლასიანი სკოლა, ყველა სკოლებში თექვსმეტ ათას ოთხასი მოწაფე ქალ-ვაჟი ითვლება, მასწავლებელთა საერთო რიცხვი 539 კაცს უდრის. საჭიროა, რომ განათლების კომისარიატმა მაზრის აღმასკომის საშუალებათა სიმცირის გამო ყველა მასწავლებლები თავის ხარჯზე აიყვანოს. დღეს ამ მხრივ საქმე რიგზე არ არის, მასწავლებლებისთვის ჯამაგირის მიცემას თავის დროზე ვერ ახერხებს სამაზრო აღმასკომი, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს მასწავლებლობაში.

მიწათმოქმედების განყოფილებამ 1923 წლის თებერვლის 23-ის დადგენილებასთან დაკავშირებით მიწის რეფორმის ჩატარების დროს შემთხვევით დაშვებული შეცდომები უკვე საბოლოოდ გაასწორა და ამჟამად ქალაქების ფარგლებში ზოლებათ დაყოფას და მიწის რეფორმის გეგმების განხორციელებას ადგილი, რაც ახლო მომავალში საბოლოოდ დამთავრდება.

შორაპნის მაზრის აღმასრულებელ კომიტ. თავმჯდომარე **თათეიშვილი.**

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო, გაზეთ „კომუნისტი“-ს მე 27 № ში მოთავსებული იყო ხარაგოულის რაიაღმასკომის პრეზიდიუმის წერილი სათაურით „უსაზღვრო ექსპლოატაცია“, რომლის საპასუხოთ გთხოვთ დაუთმოთ ადგილი თქვენი გაზეთის უახლოეს № ში შემდეგ განმარტებას:

საქართველოს სატყეო ტრესტს აქვს მოლითში გახსნილი რაიონი დღიდგან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და არა რამოდენიმე ხანი, როგორც სწერს რაიაღმასკომის პრეზიდიუმი ტრესტი იქ ამუშავებს დაქირავებული მუშების საშუალებით სხვადასხვა ხე-ტყის საშენ მასალას და შეშას და შეძლებისდაგვარად აკმაყოფილებს მუშებს, რომელთა მხრიდან არავითარ გაუგებრობას ადგილი არ ჰქონია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ყოფილ გამგის ჩიჩელაშვილის „საქმეთა საგმირონს“, რასაც ტრესტმა გაგებისთანავე მიუღო ბოლო და დამნაშავე მისცა პასუხისგებაში.

ხარაგოულის რაიაღმასკომს კი იმ დროს, როცა აღნიშნული ჩიჩელაშვილი ეწეოდა თავის უმსგავსო მოღვაწეობას, სალათას ძილით ეძინა და ნებსით თუ უნებლიეთ ქვერს უკრავდა მის მოქმედებას. ეხლა კი, როდესაც მუშების მდგომარეობა გამოკეთებულია საგრძნობლათ, ხარაგოულის რაიაღმასკომი, რომელიც იწვევა ამ რაიონში ტრესტის საწინააღმდეგოთ პროპაგანდა აგიტაციას, მუშებს ერეკება ჩვენ სამუშაოდან და უთითებს იმუშაონ კერძო მწარმოებელთან (ქეიშვილი) და სხვა.

საკმარისია ზერელე განხილვა რაიაღმასკომის მიერ მოყვანილ ციფრებისა, რომ აშკარა შეიქნეს მათი გადაჭარბება და სინამდვილესთან საგრძნობლად დაშორება. მაგალითად, რაიაღმასკომის ცნობით, სატყეო ტრესტს თითქოს უჯდება ერთი კუბ. საჟენი შეშა სადგურთან ჩამოტანილი 9 მანეთად; ეს, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება სინამდვილეს. საქმის ფაქტიური მდგომარეობა ასეთია: ტრესტი იხდის ერთ კუბიკური საჟენი შეშის დამზადებაში ტყეში 3 მან. 80 კაპ. ღარებთან მოზიდვაში—2 მან 30 კაპ. გადმოცურებაში—2 მან., ჩიხში ამოშლაში—30 კაპ. დაწყობაში—35 კაპ, ვაგონის ჩასაყენებელი და ორთქლმავალის სარგებლობაში—2 მან. საბაჟო გადასახადი—5 მან. (გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროთ მიგვაჩნია მკითხველს გავაცნოთ, რომ საბაჟო გადასახადი საჟენზე 4 მანეთია, მაგრამ ტრესტი ღებულობს ხეებს ძირეულად, სადაც კუბატურა ნავარაუდევია ტოტების და ზოლოებისაც, რომელიც რჩება ტყეში ტრესტისათვის მოუხმარებლად და ამიტომ საბაჟო გადა-

„როდესაც მენშევიკები გაიძახიან ბოლშევიკების „ბონაპარტიზმის“ შესახებ (თითქოს ჩვენ ვეყრდნობით ჯარს და აპარატს „დემოკრატიის“ ნებისყოფის წინააღმდეგ), ამით მშვენივრათ არის გამოხატული ბურჟუაზიის ტაქტიკა, და მილიუკოვი სწორათ უჭერს მხარს მას და „კრონშტადტის“ (1921 წ. გაზაფხულის) ლოზუნგებს. ბურჟუაზია სისწორით ანგარიშობს, რომ „მუშათა კლასის ნამდვილი ძალები“ შესდგებიან ამ კლასის ძლიერ ავანგარდისაგან (რუსეთის კომპარტია, რომელმაც არა ერთბაშათ, არამედ 25 წლის განმავლობაში საქმით დაიმსახურა ერთადერთ რევოლიუციონურ კლასის „ავანგარდის“ როლი, წოდება და ძალა) იმ ელემენტების მიმატებით, რომელნიც ყველაზე უფრო დასუსტებული არიან და რომელნიც ყველაზე უფრო ადვილათ იხრებიან მენშევიკურ და ანარქისტულ ქანაობისაკენ“.

ეს მძიმე დრო ეხლა თანდათან მიდის. პროლეტარიატის დეკლასიურობა შეწყდა. მით უფრო მეტის ძალით უნდა შეუდგეს ჩვენი პარტია სახელმწიფო აპარატის მოწესრიგებას და გაუმჯობესებას. ეს ნელი, ხანგრძლივი, დაუღალავი სამუშაოა.

ეხლა უკეთესი დრო დადგა. ეხლა მუშების დახმარება უფრო მეტი იქნება. ეხლა პროლეტარიატის ძალები გაიზარდა. ეს ხელს შეგვიწყობს ჩვენ გულდასმით ვიმუშაოთ სახელმწიფო აპარატზე. ეს გვიანდერძა ჩვენ ლენინმა, ჩვენი პარტიის ცეკამ, რომელიც იძულებულია იმუშაოს ულენინოთ, უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საკითხს.

მეცხრე—ეს არის პარტია და სახელმწიფო. ამ საკითხში ჩვენ ურყევათ ვდგევართ პროლეტარულ დიქტატურის, რკინის დიქტატურის ნიადაგზე. ვერავის აზრათაც ვერ მოუვა მისი შესუსტება. და თუ ეს ასეა, მაშინ პარტიის და სახელმწიფოს ურთიერთ დამოკიდებულება უნდა დარჩეს ძველი—იმ აზრით, რომ პარტია ხელმძღვანელობს, პარტია-სულია ყველაფრის, პარტია ეწევა არა მარტო აგიტაციას და პროპაგანდას, როგორც ეს უნდოდათ ჩვენთვის შეეპარებიათ, არამედ პარტია აწყობს, პარტია მიმართავს, პარტია ხელმძღვანელობს საბჭოთა ხელისუფლებას, პარტია—მისი თავია. ამ საკითხში ჩვენ უპირველეს ყოვლისა დანით უნდა ამოვფხიკოთ არაბოლშევიკურ იდეების ყოველგვარი მცირე ნაშთიც კი იმისთვის, რომ ბოლშევიკურ პარტიის რიგებში მცირედი ეჭვიც კი არ დარჩეს ძირითად საკითხში პარტიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ.

და, ბოლოს, მეათე—კომინტერნი და პროფინტერნი. თქვენ კიდევ მოისმენთ ამის შესახებ დაწვრილებით მოხსენებას. საქმე ძნელია. ამ საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა ვლადიმერ ილიჩის ხელის გარეშე ასჯერ, ათასჯერ, მილიონჯერ უფრო ძნელია. მაგრამ მაინც, ამხანაგებო, ჩვენი პარტია იმ ტაქტიკის საშუალებით, რომელიც დაგვიტოვა ვლადიმერ ილიჩმა, და სხვა პარტიების დახმარებით, შესძლებს უხელმძღვანელოს კომინტერნს და პროფინტერნს. რაიმე ჯგუფური ფრაქციული ბრძოლის შეტანა კომინტერნში ნამდვილი ბოროტმოქმედება იქნებოდა (ტაში). მოიგონეთ პირველი ინტერნაციონალის ბედი.

ვიწრო - პარტიულ ამოცანებიდან ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა—პირველ რიგში გადიდებული იქნეს მუშების ხვედრითი წონა.

მეორე რიგში—მიღებული იქნეს პარტიაში ლენინის მოწვევის ასი ათასი მუშა სამი თვის განმავლობაში.

მესამეთ—კიდევ უფრო მეტი ყურადღებით ვიმუშაოთ კომუნისტ-გლეხების საუკეთესო ნაწილზე იმისათვის, რომ მათგან, წითელარმიელებისაგან, სამხედრო ჰასაკამდე ახალგაზრდობისაგან და ღარიბ გლეხებისაგან შევქმნათ ნამდვილი ბოლშევიკები.

მეოთხეთ, წითელ არმიაში ჩვენ ვერ მოვითმენთ ეხლანდელ მდგომარეობას, როდესაც ყველა 40.000 კომუნისტს ხელმძღვანელი თანამდებობები უჭირავთ. ჩვენ უფრო ღრმათ უნდა შევიჭრათ ჯარში; ჩვენ ჩვენი პარტიის რიგებში უნდა გვყავდეს უბრალო წითელარმიელ-კომუნისტების განსაზღვრული რაოდენობა.

მეხუთე—მოსწავლე ახალგაზრდობა. ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ მოსწავლეთა შემადგენლობა, ჩვენ უნდა შევამციროთ ის რაოდენობის მხრივ, მაგრამ ჩავაყენოთ უკეთეს პირობებში, აუხსნათ ყველგან პარტიის სწორი ხაზი და განსაკუთრებით იქ, სადაც ადგილი ჰქონდა რყევას.

მეექვსე—სხვა პარტიებიდან მიღება უნდა შესწყდეს, უნდა მივიღოთ ერთეულში, მივიღოთ მხოლოდ ისინი, რომელნიც, როგორც რევოლიუციონერები, მოგვცემენ ჩვენ აბსოლიუტურ ინდივიდუალურ გარანტიას იმისა, რომ ჩვენ არ ვინანებთ მათ მიღებას პარტიაში.

მეშვიდე, სხვა ფენებიდან ერთი ან ორი წლის განმავლობაში პარტიაში არავინ არ უნდა იქნეს მიღებული (ტაში).

მერვე, მუშაობა საკუთარ თავზე, პარტიაზე, ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით; სწავლა, სწავლა და სწავლა. პარტიის კულტურული დონის ამაღლება არის ერთერთი ცენტრალური ამოცანა, რომლის გარეშე შეუძლებელია შინაპარტიულ დემოკრატიის ნამდვილი გატარება. ის, რაც გაკეთებულია ამ დარგში, მხოლოდ წვეთია ზღვაში. ჯერ კიდევ დიდხანს უნდა იმუშაოს პარტიამ თავის წევრების კულტურულ დონის ამაღლებაზე; რა თქმა უნდა, არა მარტო წიგნებისა და უნივერსიტეტების საშუალებით, არამედ პარტიის წევრების, პარტიის ყოველდღიურ მუშაობაში ჩაბმით, პროფკავშირების და საბჭოთა ხელისუფლების მუშაობაში ჩაბმის გზით.

მეცხრე—თვითეული ჩვენთაგანის პასუხისმგებლობის გრძნობის გადიდება. მე ვფიქრობ, რომ ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენთან აღარ არის ვლადიმერ ილიჩი. თვითეული ჩვენთაგანის პასუხისმგებლობის გრძნობის გადიდება აუცილებელია.

მეათე—პარტიული მუშაობის მეცნიერული სისტემატიური დაყენება: „კუსტარნიჩესტვოს“ გაუქმება, ლენინის სისტემის გამოყენება.

მეთერთმეტე—ამხანაგებო, ყველა აქედან გამომდინარე სერიოზული, პატიოსნური, ბოლშევიკური, საქმიანი, ურყევი გატარება პოლიტბიუროს 5 დეკემბრის რეზოლიუციის და ჩვენი პარტიის კონფერენციის დადგენილებების შინაპარტიულ დემოკრატიის შესახებ (ტაში).

12. დასკვნა

აი ის ამოცანები, რომელნიც სდგანან ჩვენს წინაშე. მე მინდა დასასრულ მოგაგონოთ ის, თუ რას ამბობდა ვლადიმერ ილიჩი სვერდლოვის საფლავზე. ის ამბობდა: „მე ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ პროლეტარული რევოლიუცია რუსეთში და მთელს მსოფლიოში პროლეტარიატისა და მშრომელ გლეხობისაგან გამოყოფს მრავალრიცხოვან ფენებს და ჯგუფებს, რომელნიც პრაქტიკულათ შეითვისებენ ცხოვრებას, და იმ კოლექტიურ ორგანიზატორულ ნიჭს, ურომლისოთაც შეუძლებელია გამარჯვების მიღწევა“.

ვლადიმერ ილიჩი ამბობდა მაშინ, რომ იაკობ მიხეილის ძის მუშაობა უნდა შესცვალოს მთელმა კოლექტივმა, გამოჩენილ ამხანაგებისაგან შემდგარმა მთელ რიგ კომისიებმა. მაგრამ სრულიად ნათელია, რომ თუ ვლადიმერ ილიჩის მუშაობის შეცვლა საერთოდ შეძლებელია რამოდენიმეთ მაინც, მაშინ მხოლოდ ჩვენს პარტიას შეუძლია იყოს ეს კოლექტივი მუშათა იმ ფართე მასების მიმატებით, რომელნიც ეხლა ისე კეთილსინდისიერათ, ისე მხურვალეთ, ესეთი ენტუზიაზმით მოდიან ჩვენთან, რომ განაგრძონ ვლადიმერ ილიჩის მუშაობა.

მე მინდა კიდევ მოვიგონო ვლადიმერ ილიჩის სიტყვები (ბევრი თქვენგანი მოიგონებს მათ), რომელიც ნათქვამი იყო 20 წლის წინათ მის წიგნში „რა ვქნათ“. ის ამბობდა: „ჩვენ მივდივართ ძნელ და ციცაბო გზაზე მჭიდროთ გადაჭდობილნი ერთმანეთთან. ჩვენ ყოველის მხრივ გარშემორტყმული ვართ მტრებით და ჩვენ თითქმის ყოველთვის მათი ცეცხლის ქვეშ გვიხდება სიარული. ჩვენ შევთანხმდით თავისუფლათ მიღებულ გადაწყვეტილების გარშემო სწორეთ იმიტომ, რომ ვიბრძოლოთ მტრების წინააღმდეგ და უკან არ დავიხიოთ და არ ჩავეშვათ მეზობელ ჰაობში, რომლის მკვიდრნი თავიდანვე გვკიცხავდნენ ჩვენ იმისათვის, რომ გამოვეყავით მათ ცალკე ჯგუფათ და ავირჩიეთ ბრძოლის და არა შერიგების გზა. და აი ზოგიერთი ჩვენთაგანი იწყებს ყვირილს: წავიდეთ ამ ჰაობში და როდესაც მათ არცხვენენ, ისინი უპასუხებენ: როგორი ჩამორჩენილი ხალხი ხართ და როგორ არ გრცხვენიათ, როდესაც არ სცნობთ ჩვენს უფლებას მოგიწოდოთ თქვენ უკეთეს გზაზე.

დიახ, ბატონებო, თქვენ თავისუფალი ხართ არა მარტო იმისათვის, რომ მოუწოდოთ, არამედ წახვიდეთ საითაც თქვენ გნებავთ, თუ გინდ ჰაობშიც. მაგრამ მაშინ თავი დაანებეთ ჩვენს ხელებს, ნუ გვეკიდებით ჩვენ, ნუ გასვრით დიდებულ სიტყვას „თავისუფლება“-ს იმიტომ, რომ ჩვენც ხომ თავისუფალი ვართ წავიდეთ საითაც გვინდა, ვიბრძოლოთ არა მარტო ჰაობის წინააღმდეგ, არამედ იმათ წინააღმდეგაც, ვინც ჰაობისკენ უხვევს“.

დიახ, ამხანაგებო, ჩვენ ეხლაც საკმაოთ ძნელ და ციცაბო გზაზე მივდივართ. ეს გზა, რასაკვირველია, გაცილებით უფრო ფართეა, ჩვენ გაცილებით უფრო ფართე საძირკველზე ვდგევართ, ვიდრე ვლადიმერ ილიჩის ჯგუფი იდგა 1903 წელში. ჩვენ ვდგევართ პროლეტარულ დიქტატურის რკინისა და ბეტონის საძირკველზე, ჩვენ მეშვიდე წელიწადია ვთანამშრომლობთ გლეხობასთან, ჩვენ ვეყრდნობით საერთაშორისო მუშათა კლასის უდიდეს თანაგრძნობას და ენტუზიაზმს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი გზა ყვავილებით არ არის მოფენილი. ის მაინც მიხვეულ-მოხვეული და ძნელია, და ჩვენ მაინც ცეცხლის ქვეშ მივდივართ, ჩვენ მაინც გარშემორტყმული ვართ დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის მიერ. ჩვენ არ ვიცით რას გვიმზადებს ხვალინდელი დღე, როგორი ახალი ტანჯვა, გამოცდა უნდა გადაიტანოს ჩვენმა ქვეყანამ იმ დრომდი, სანამ ის გამოვა ფართე გზაზე.

ჩვენ ეხლა უფრო, ვიდრე ოდესმე ყოფილა, უნდა ვიგრძნოთ ჩვენი თავი მართლაც ერთიან მეგობრულ ოჯახათ, რომელსაც, ერთმანეთთან ხელიხელ ჩაკიდებულს, მთელ ბურჟუაზიულ სამყაროს წინააღმდეგ, შეუძლია გამოვიდეს ერთიანი, როგორც ერთი კაცი.

ჩვენ გვინდა მთლიანობა. მაგრამ არა ყოველგვარი მთლიანობა. ჩვენ გვინდა მთლიანობა განსაზღვრულ ლენინისებურ საძირკველზე. ამხ. ლენინი ყოველთვის არ ყოფილა მთლიანობის მომხრე. არის მდგომარეობა, როდესაც რევოლიუციონერი გამოდის მთლიანობის წინააღმდეგაც. იყო მდგომარეობა, რომლის დროსაც პლეხანოვმა, მაგალითად, სთქვა პარტია „მიწა და თავისუფლება“-ს გაყოფის დროს: „რევოლიუციონერის მოვალეობაა ხანდახან ამა თუ იმ ორგანიზაციის დაშლა, თუ ეს ორგანიზაცია დადგა ისტორიულ პროგრესის გზაზე, თუ ის ხელს უშლის რევოლიუციის გამარჯვებას“. ასეთ მდგომარეობის დროს ჩვენ არ გვეშინია ავაფრიალოთ აჯანყების დროშა, განხეთქილების დროშა, როგორც ეს მოვიმოქმედეთ ჩვენ მეორე ინტერნაციონალისა და მენშევიზმის მიმართ. მაგრამ ჩვენ მომხრე ვართ ჩვენი პარტიის მთლიანობის ლენინიზმის საფუძველზე, რევოლიუციონურ მარქსიზმის იმ სახარების საფუძველზე, რომელიც ჩვენ მივიღეთ ვლადიმერ ილიჩის ხელით, რომელიც ჩვენ გამოვატარეთ სამ რევოლიუციაში და რომლითაც ვივლით ჩვენ მომავალშიაც.

მთლიანობა ჩვენთვის ეხლა, რა თქმა უნდა, უფრო საჭიროა, ვიდრე ოდესმე. მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ამის მოგონება საჭიროც არ არის ბოლშევიკთა რიგებში. რუსეთის კომპარტიის მთლიანობის იდეისათვის თავდადებაში უნდა აღვზარდოთ ჩვენ ის ასი ათასი ახალი მუშა, რომელნიც შემოვლენ ჩვენს რიგებში, პარტიის მთელი ახალგაზრდული ნაწილი, მთელი მოსწავლე ახალგაზრდობა.

ჩვენი პარტიის მთელ მუშურ ნაწილს ჩვენ უნდა ვასწავლოთ ის, რომ მემკვიდრეობის საფუძველზე, რომელიც დაგვიტოვა ჩვენ მთელი კაცობრიობის მრავალმილიონ მშრომელთა გენიალურმა ბელადმა, დაიცვან და განამტკიცონ ჩვენი პარტიის მთლიანობა, რომელიც შექმნილი და გამოჭედილია ამხ. ლენინის მიერ. ბოლშევიკური დროშა, რომელიც ჩვენ გამოვატარეთ სამი რევოლიუციის ცეცხლში, ჩვენ, ამხანაგებო, ყველამ ერთად, მტკიცე გაერთიანებულებმა, უნდა შევძლოთ გავატაროთ ყოველგვარ ცეცხლში. ნუ დაივიწყებთ: ამ დროშას ხელიდან ხელში გვაძლევდა ჩვენ ყველას, მთელს ჩვენს პარტიას ვლადიმერ ილიჩ ლენინი (ტაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

ამხ. ლენინის სამგლოვიარო საღამო

6 თებერვალს, ჯანსახკომისარიატის სანიტარულ განათლების სახლის თეატრში შესდგა ლენინის სამგლოვიარო საღამო. თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო პროფკავშირების წევრებით.

შუაგულ სცენაზე, რომელიც იშვიათი მხატვრულობით მორთული იყო შავ-წითელ ფერებში. ლენინის დიდი ქანდაკება იდგა.

საღამო გაიხსნა სამგლოვიარო მარშით, რომლის შემდეგ ამხ. კ ოკუჯავა აკეთებს მოხსენებას ლენინის პიროვნების და მისი მოძღვრების შესახებ.

მოხსენების შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში, სამედიცინო დარგში იქ შეკრებილნი მუშაკნი გამოსთქვამენ თავის ღრმა მწუხარებას ილიჩის უდროვო დაკარგვის გამო, მაგრამ ნუგეშობენ იმით, რომ მის შემდეგ ღირსეული მემკვიდრე დარჩა მის მიერ შექმნილ კომპარტია, რომელიც დაამთავრებს მსოფლიო რევოლიუციას.

მოხსენების შემდეგ დადგმულ იქნა ქართული პიესა, რომელიც გამოხატავდა მუშის ოჯახის და მასთან სოფლიდან ჩამოსულ მის ნათესავ გლეხის გლოვას ლენინის დაკარგვის გამო.

შემდეგ დადგმულ იქნა ნ. დიმოვის რუსული პიესა, რომელიც წარმოადგენდა მშრომელის მდგომარეობას 70 წლის შემდეგ. ამ შემთხვევაში ჩვენს თვალის წინ გადაიშალა უკვე განთავისუფლებულ მშრომელის ბედნიერი მდგომარეობა, როდესაც მოსპობილია ყოველნაირი ჩაგვრა და ცხოვრების ყოველგვარი სიმდიდრე და ტეხნიკის გამოგონებანი ყველას თანასწორ საკუთრებას შეადგენს. თანამედროვე მძიმე ეპოქის შესახებ მხოლოდ ღრმა მოხუცი ყოფილი მუშა, ზღაპრად უამბობს თავის ნორჩ შვილიშვილს, რომელსაც ის აჩვენებს ლენინის გლოვის დღეების სურათებს ტფილისში და უხსნის, რომ ახლანდელი მათი ბედნიერების მიზეზი ეს უკვდავი ადამიანი იყო, რომლის გარდაცვალებამ საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა მაშინ მასზე და მთელ მაშინდელ კაცობრიობაზეო.

მუშკორი ა. ნ.

შემნახველ (შრომის) კასების მნიშვნელობა და წევრთა მიღების წესი.

დაახლოებით სამი თვეა, რაც მთავრობა შეუდგა ტფილისში შემნახველ კასების დაარსებას და დღემდი უკვე დაარსებულია **ხუთი კასა**, ამ მოკლე ხანში კიდევ გაიხსნება ქალაქის განაპირა უბნებში 6 თუ 7 კასა.

ამ კასებს აქვთ უდიდესი მნიშვნელობა მშრომელი ხალხისათვის, ე. ი. მუშა-მოსამსახურეთათვის, მეტადრე დღეს, როცა სხვადასხვა მიზეზებით საოცრად ეცემა ფულის ნიშნების კურსი და მით დიდი ზიანი ეძლევა აღნიშნულ მუშა-მოსამსახურეთ.

შემნახველ კასებში მუშას შეაქვს ფული, ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით (ბონები), **დღიური კურსით** ჩერვონეცის მანეთზე გადაყვანით და **დღის კურსითვე გამოაქვს უკან რა დროსაც, ან რამდენს მოისურვებს.**

მაგალითად, დღეს მუშამ შეიტანა კასაში დღის კურსით **2,500 მილიონი. ე. ი. ათი მანეთი, ანუ ერთი ჩერვონეცი.** ეს ერთი ჩერვონეცი 2—3 დღის შემდეგ გახდა კურსით **3.000 მილიონი**, ერთი კვირის შემდეგ კი **4,000 მილიონი**. ფულის შემტანი მუშა **2,500 მილიონის** ნაცვლად 2—3 დღის შემდეგ იღებს კასიდან **3,000 მილიონს**, ერთი კვირის შემდეგ კი **4,000 მილიონს**, შემოტანის დროს ის ყოველთვის იღებს სხვადასხვა დროს კასიდან იმ კურსით, რა კურსიც არის ფულის გამოტანის დღეს. ამრიგათ შემტანის, ანუ ხალხის ფული კასაში შეტანის დროს **იზღვევა კურსით დაცემისაგან**, მის ფულს არ ეკარგება ღირება და ამ სახით მშრომელ ხალხს აღარ ეძლევა დიდი ზიანი და ზარალი.

თვით ხალხმაც მალე აუღო ალღო და შეიგნო ასეთი კასების დიადი მნიშვნელობა; ასობით და ათასობით მოაწყდა კასებს, სადაც ჯამაგირის მიღებისათანავე ინახავს თავის ნაოფლარს და შემდეგ წვრილ-წვრილად გამოაქვს ფული კასიდან და ხარჯავს თანდათანობით.

კასებში წევრად ჩაწერის და ფულის შეტანა-გამოტანის წესი არ არის რთული; ყველა მოქალაქეს, ქალსა და კაცს, მოზარდსაც კი აქვს უფლება შევიდეს რომელ კასაშიც სურს და ჩაეწეროს წევრად. ამისთვის იმათ უნდა შეავსონ საანკეტო ფურცელი და ფულის შესატანი ბარათებზე კი ქართულ, ან რუსულ ენაზე, რაც ყველასთვის მეტად ადვილია. გარდა ამისა კასის მოსამსახურეთაგან შეუძლიათ მიიღონ ყოველივე საჭირო ახსნა-განმარტება წევრად ჩაწერის, ფულის შეტანის ან გამოტანის შესახებ. ფულის გატანის დროს უნდა შეავსონ შესაფერი ბლანკი ანდა მინდობილობის ფურცლით დაავალონ სხვა პირს, (თავის რომელიმე ნათესავს, ან რწმუნებულს), თუ თვითონ არ სცალიათ, ფულის გამოტანა კასიდან. ყოველივე ეს მოქმედება მეტად და ყველასათვის ადვილად გასაგებია. აღნიშნული საანკეტო ფურცლები და ბლანკები ბლომათ მოიპოვება ყველა კასაში და უფასოთ ურიგდებათ მსურველთ.

ყოველ წევრს ეძლევა კასიდან **ანაბარის წიგნაკი**, რომელშიაც ინიშნება შეტანილ და გატანილ ფულის რაოდენობა, როგორც ბონებით, ისე ჩერვონეცის მანეთობით. ასეთი წიგნაკის საფასი იყოფა სამ რიგად, პირველი რიგი იხდის ასეთ წიგნაკში ერთდროულ მხოლოდ **ათ კაპიკს**; ამ რიგში შედიან მუშები და გლეხები, წითელარმიელები, მოსწავლე ახალგაზრდობა, უმუშევარნი და ინვალიდები. მეორე რიგი იხდის წიგნაკში **ოც კაპიკს**; ამ რიგს ეკუთვნიან ყველა დარგის მოსამსახურენი როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უწყებათა. მესამე რიგი იხდის წიგნაკში **50 კაპიკს**; ამ რიგს ეკუთვნიან ყველა დანარჩენი მოქალაქენი და დაწესებულებანი.

გარდა ანაბარის წიგნაკის მსურველთ შეუძლიან მიიღონ კასიდან ეგრეთწოდებული **ჩეკის წიგნაკიც** ფულის ნაწილობრივ გამოსატანათ, რაშიც იხდიან რიგის მიხედვით იმდენსავე ფულს, რამდენსაც ანაბარის წიგნაკში, ხოლო ჩეკის წიგნი უფრო სარფაა დაწესებულებათათვის, რომელთაც აქვთ კასებში შედარებით უფრო დიდი თანხები.

არავის არ ეძლევა უფლება შეიტანოს კასაში ერთდროულად **ას მანეთზე ანუ ათ ჩერვონეცზე მეტი**, ე. ი. ყოველ წევრს ეძლევა უფლება შეიტანოს კასაში თითო შეტანაზე **ერთი შაურიდან ას მანეთამდე**, გამოტანით კი შეუძლია გაიტანოს ერთბაშათ მთელი თავის შეტანილი თანხა.

დაბოლოს უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ფულის შენახვა კასებში შეიძლება როგორც ბონებით, ისე ჩერვონცებით და ფულის შემნახველი იღებს კასიდან **სარგებელსაც კი**, ე. ი. 3 პროც. **წლიურად**. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბონების შემნახველი იღებს უკანვე ფულს ბონების სახით კურსის მიხედვით, ჩერვონცების **შემნახველი კი იღებს კასიდან უკანვე ჩერვონცებს.**

შემნახველ კასების მუშაობა-ოპერაციებს და საზოგადო ვითარებას ჩვენ შევეხებით შემდეგ წერილში.

მესამე შემნახველ კასის გამგე სიმონ ქვარიანი.

ინვალიდების შრომის არტელი

ტფილისში, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე მუშაობს სოც. უზრ. სახ. კომისარიატის მიერ დაარსებულ ომის ინვალიდების პურის საცხობი არტელი. ეს არტელი შესდგება 6 კაცისაგან და დაიწყო თავისი მუშაობა ა. წ. იანვრის პირველ რიცხვებიდან. ამ მცირე ხანში მან იმდენათ განავითარა თავისი მუშაობა, რომ საგრძნობი კონკურენცია გაუწია კერძო მოვაჭრეთ (პურის მცხობლებს). იგი აცხობს 60 ფუთამდე პურს ყოველდღიურად, რომელიც სწრაფად საღდება იქვე მცხოვრებ მუშა ხალხის მიერ. ამ არტელის არსებობა მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ იგი უზრუნველჰყოფს ბონებს კურსში დაცემისაგან, რაც ვერ შესძლეს უფრო ძლიერმა ორგანიზაციებმა.

ამ არტელის ყველა წევრები უღრმეს მადლობას უძღვნიან სოც. უზრ. სახ. კომისარს ამხ. ხომერიკს, რომელმაც პირადი რჩევა-დარიგებით და ყოველმხრივი ხელის შეწყობით უწყალო ომის უნებური მსხვერპლნი ინვალიდები დაუბრუნა პატიოსან შრომას.

მუშკორი ნიკო ინვალიდი.

თავ-აშვებული რევიზორი
(რკინისგზის სამმართველოს და პროფკავშირის საყურადღებოდ).

ნათქვამია ქალს ძაღლი არ დაჰყეფოსო და ნუ თუ კაცმა ვერ შეიგნოს მისი პატივისცემაო?

11 თებერვალს შემთხვევით გავხდი ერთი არა სასურველ შემთხვევის მოწამე: ტფილისიდან ბაქოსკენ მიმავალ მატ. № 3 სადგ. ნავთლუღში მიემგზავრებოდენ ორი მანდილოსანი: დარო დურგლიშვილისა და მარ. ცომაიასი, ორივე ნავთლუღის რკ.-გზ. მოსამსახურეების ცოლებია.—ჯერ კიდევ მატარებელი დაძრული არ იყო, რომ მათთან მივიდა მატარებლების რევიზორი მოქ. ენიკოლოპოვი და რაღაც საუბარი გაუმართა (უთუოთ ბილეთის თაობაზე). შემდეგ ამისა არ გასულა ორი წუთი, გაშმაგებულმა რევიზორმა სტაცა ორთავეს ხელი და დედის გინებით და უშმაწური ქუჩური სიტყვებით ძირს ჩაყარა ვაგონიდან; ასეთმა მისმა უდიერმა მოპყრობამ ყველა იქ მყოფი გაანცვიფრა და ზიზღით იხსენიებდენ მის რაინდულ მოქმედებას.—ჩვენის აზრით ბატ. რევიზორი ენიკოლოპოვი რომ არ აჩქარებულიყო და ისე სწრაფად ძარღვები არ აშლოდა, მას შეეძლო ჯერ მშვიდობიანათ ჩაეყვანა მანდილოსნები ნავთლუღში, და შემდეგ თუ მათ ბილეთი არ ჰქონდათ,—წარედგინა სადგურში მორიგესთან, ისიც სათანადო აქტს შეადგენდა და ლამაზათ დამთავრდებოდა საქმე; ყოველ შემთხვევაში რევიზორს არავითარი უფლება, არც იურიდიული და არც მორალური, არ ჰქონდა ხელით შეხებოდა მანდილოსნებს და დედის გინებით გამასპინძლებოდა.—ჩვენის ფიქრით ასეთ ელემენტებს არ უნდა ჰქონდეს ადგილი რევიზორთა კორპორაციაში, რასაც იმედი გვაქვს მიაქცევს ყურადღებას დ. ნ | 2.

მუშკორი—შოლტი.

მუშები მუქთად მუშაობენ
(მელითონეთა კავშირის საყურადღებოდ)

სალდათის ბაზარზე მუშაობენ ჩილინგრები, რომლებიც აკეთებენ ფეჩის ფეხებს და მის სხვა ნაწილებს. ეს ვაჟბატონები ამუშავებენ მუშებს სულ მუქთად. ისინი თავის მუშებს დღეში 30 და 50 მილიონ მანეთამდე აძლევენ. მუშას ეყოფა ეს ფული? რასაც ის იღებს დღეში, სრულებით არ ყოფნის მას და განიცდის სიმშილ-სიტიტვლეს ის, ვინც მთელი დღე დაუღალავათ სცემს ჩაქუჩს. მუშა წვალობს და ხაზეინი კი სუქდება. ნუ თუ შრომის ინსპექტორს და კავშირს ვერ შეუძლიანთ ამ კუთხეში შეიხედონ, რომ ეს მუშები—ჩასწერონ კავშირში, რათა ამ ბატონ—ხაზეინებმა არ გაიმარჯვონ მუშების თავზე და მიიღონ მათთვის საკადრისი სასჯელი. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს სათანადო ყურადღება და ალაგმულ იქნენ შრომის ექსპლოატატორები.

მუშკორი ი. ჯ.

ამყრალებული ქუჩა
(მე-11 რაიონის სანიტქომის საყურადღებოდ)

უკვე გაზაფხული მოახლოვდა და სანიტარულ ზედამხედველობას დიდი მოვალეობა აწევს ქალაქის სიბინძურიდან დაცვის საქმეში. მით უმეტეს აღსანიშნავია ერთი ფრიად უარყოფითი ანტისანიტარული მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს **ნაგორნი შესახვევში**. ყაზარმების წინ მთელ ქუჩის გასწვრივ მიდის ადამიანთა განავალის სითხე, რომელიც საშინლად ყარს და სწამლავს არე-მარეს. საჭიროა, სასწრაფო ზომების მიღება.

ინფორმატორი ადგილობრივი.

მუშების წერილები მიზანს აღწევენ
(ადმახკომის პასუხი)

შესახებ წერილისა, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთი „კომუნისტი“-ს წ.წ. 14 დეკემბრის მე-323 ნომერში სათაურით „**მუშების მახე**“ ქ. ტფილისის მილიციის უფროსმა მომართვით ა | წ. 15 იანვრიდან მე-234 ნომრით შეგვატყობინა, რომ იურიევის ქ. ღვინის საწყობის პატრონს ჩამოერთვა ხელწერილი, რომ არავის სარდაფში ღვინო არ დაალევინოს, რასაც ის დაურღვევლად ასრულებს რაც შეეხება სამიკიტნოს, რომელიც დაბეჭდილია, მისი გახსნა შეუძლებელია,—რამდენიც უნდა ეცადოს მისმა პატრონმა.

ადმახკ. ინფორმატორი ვარდოსანიძე.

სახადი ნაჩვენებია 5 მანეთი), ჩიხების ქირა და მათი შეკეთება—1 მან. ამორტიზაცია და შეკეთება ღარების, შტატის შენახვა და მოულოდნელი ხარჯები—6 მან. 70 კაპ., ამ რიგად ერთი კუბ. საჟენი შეშა ვაგონში ჩაწყობილი ტრესტს უღირს 23 მან. 45 კაპ., ასეთია სინამდვილე და არა ის, რომელიც მოყავს რაიაღმასკომს. არის კიდევ მეორენაირი შეშები ძირნაყარი ხეებიდან, რომლებსაც ტრესტი იძენს გლეხებისაგან და იხდის საჟენზე 11 მან., საბაჟო გადასახადს—4 მანეთს, ვაგონის ჩამოყენება და ჩ[illegible]ის ხარჯები—3 მან., შტატის შენახვა და მოულოდნელი ხარჯები—2 მან., სულ 20 მან. ასეთი შეშები ძალიან ცოტაა, მაგალითად, წელს შეძენილი იყო მხოლოდ 32 საჟენი.

ეხლა გადავიდეთ საშენ მასალაზე. რაიაღმასკომის გამოანგარიშებით, ტრესტს ლიანდაგთან ჩამოტანილი ერთი კუბ. ფუტი საშენი მასალისა უჯდის 11 კაპ. და ჰყიდის კი 40 კაპ. სინამდვილეში ტრესტი აძლევდა წვრილ ზომიანებში 12—14 კაპეიკამდე, მსხვილ ზომიანებში—18—20 კაპეიკამდე, ამას ემატება საბაჟო გადასახადი 12 კაპ. (აქ იგულისხმება იგივე, რაც შეშის შესახებ გვაქვს მოყვანილი), ვაგონების დატვირთვა, ვაგონების ჩამოყენება, შტატის შენახვა და სხვა მოულოდნელი ხარჯები—10 კაპ., ამ რიგად ერთი კუბ. ფუტი ტრესტს უჯდება 38 კაპ. და არა 11 კაპ. როგორც ზევით აღვნიშნეთ, რაც გასასყიდი ფასებია სწორადაა ნაჩვენები ხარაგოულის რაიაღმასკომის მიერ, და თუ ტრესტი ყიდის ზედმეტ ფასებში, აქ არის საგულისხმო შემდეგი მოსაზრებები: საწარმოვო კაპიტალი ტრესტის მიერ დაბანდებული განიცდის ბრუნვას წელიწადში მხოლოდ ერთხელ, რადგანაც შეშას აქვს თავისი სეზონი და მისი განაღდება წელიწადში ხდება ერთხელ (მაგალითად, ტრესტს ამ ჟამად აქვს დამზადებული რამოდენიმე ათასი კუბ. საჟენი შეშა, რომელიც განაღდდება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ) და ამას არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს,—აქ პროცენტების რაოდენობა უეჭველად უნდა გადიდებულ იქნას—ასეთია საქმის ვითარება და ხარაგოულის რაიაღმასკომის პრეზიდიუმის ჩვენ წინააღმდეგ გამოლაშქრება პრესაში სრულებით ადასტურებს იმ ხმებს, რომელიც ჩვენამდე აღწევდა, რომ აღმასკომს დიდი სურვილები აქვს ჩვენ მიერ მოწყობილ რაიონის ხელში ჩაგდების და ჩვენი იქიდან გამოძევების. სხვათა შორის ერთ დამახასიათებელ ფაქტად მიგვაჩნია ხარაგოულის რაიაღმასკომის მიერ დატყვევება ტრესტის თანამშრომლისა ა. ქადეიშვილისა, რომელმაც დაიჭირა ქურდი და მიიყვანა სამილიციო უბანში, საიდგანაც ქურდი გაანთავისუფლეს და ის კი დაატუსაღეს.

საერთოდ აღსანიშნავია და აუცილებლად ანგარიშის გასაწევი ის გარემოება, რომ ტრესტი უფრო მეტ ყურადღებას აქცევს მუშებს, ვიდრე აღმასკომები—მაგალითისთვის მოგვყავს შემდეგი ფაქტი: ახალციხის აღმასკომი, რომელიც შემოგვეჭრა აწყურის რაიონში, აძლევს მუშებს ერთ გოჯა საშენ მასალის მოსაჭრელ ჩამოსატანს 5 კაპ. იმ ადგილიდგან 3—4 ვერსის დაშორებით, საიდანაც დღესაც ტრესტი აძლევს მუშებს 6 კაპეიკს.

ჩვენ არ შეგვიძლიან არ მივესალმოთ ხარაგოულის რაი-აღმასკომის კორესპონდენციაში უკანასკნელ განცხადებას კომისიის შექმნის შესახებ და ჩვენ ჩვენის მხრივ მოვითხოვთ ცენტრის პარტიულ ორგანოებიდგან და მმართველ აპარატიდან შექმნილ კომისიას, სადაც უეჭველად უნდა შევიდეს თითო წარმომადგენელი ტრესტის და ხარაგოულის რაიაღმასკომის და ამით საბოლოოთ გაშუქებული იქნას საქმის ვითარება და ბოლო მოეღოს რაიაღმასკომის ინტრიგებს ჩვენს წინააღმდეგ.

საქართველოს სატყეო ტრესტის დირექცია.

მეთევზეობის მოქმედებანი და შეზღუდვები

ცირკულიარულად

ს. ს. ს. რ. სამაზრო აღმასკომებს.

საქართველოს ს. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ყველა ქვემოდასახელებული სათევზე სამრეწველოები, როგორც სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის, იმყოფება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის უშუალო განკარგულებაში.

1) ფოთის სამრეწველო სათევზაოები,—„ფართო-წყლის“—ტბის მახლობლად შავი ზღვის ნაპირზე მყოფ პუნქტიდან სწორი ხაზით სოფ. საჩოჩუამდე, შემდეგ მდ. რიონის გასწვრივ „ნედაარდის“ არხამდე, აქედან სწორი ხაზით მდინარე პიჩორამდე და მასში „წითელი წყალი“-ს შესართავამდე, შემდეგ სწორი ხაზით „დაბანალი“-ს არხამდე და ბოლოს მდ. მდ. „ოხორინას“ და „მოლტაკვის“ გასწვრივ და ამ უკანასკნელის და მდ. კაპარჩის შავ-ზღვაში შესართავამდე და ზღვის ნაპირების გასწვრივ დასაწყის პუნქტამდე. ამ რიგათ ამ სამრეწველოს ფარგლებში ედის: „ფართო წყალი“-ს, პალიასტომის და იმნათის ტბები, მდ. მდ. რიონი 18 ვერსის მანძილზე, პიჩორა 10 ვერსის და მთელი სიგრძით მდ. მდ. ოხორინა, გურინკა, მოლტაკვა, კაპარჩა, დედაბერა, შავ-ღელე ნაბადა და ნედაროის არხი და შავი ზღვის ნაპირები 17 ვერსის სიგრძეზე.

2) ყულევის (რადუტ-კალეს) სათევზაო სამრეწველოები შემდეგ საზღვრებში: მდინარე ჰურიას შავ ზღვაში შესართავიდან სწორი ხაზით მდ. ხობის-წყალზე მდებარე ადგილ „ჯაპისამდე“; აქედან სწორი ხაზით „ხაკორჭალის“ პუნქტამდე მდ. ცივაზე და შემდეგ სწორი ხაზით მდ. ციას სათავემდე და შემდეგ კი სწორი ხაზით ფოთის სათევზაო სამრეწველოების შავ ზღვასთან მოსაზღვრე „ფართო წყლის“ პუნქტამდე და ბოლოს ზღვის ნაპირების გასწვრივ დასაწყის პუნქტამდე; ამ რიგად ამ სამრეწველოების ფარგლებში შედის: მდ. მდ. ხობის წყალი 8 ვერსის მანძილზე, ცივა 8 ვერსის მანძილზე და მდ. ცია მთელი თავის მდინარეობით და შავი ზღვის ნაპირები 13 ვერსის მანძილზე.

3) ანაკლიის სათევზაო სამრეწველოები, რომელიც შეიცავს: შავი ზღვის ნაპირს ყულევის, (რედუტ-კალეს) სათევზაო სამრეწველოებთან მოსაზღვრე პუნქტიდან—მდ ჰურის შესართავი—აფხაზეთის ს. ს. რ. საზღვრებამდე 9 1 | 2 ვერსის მანძილზე და მდ. ინგურიდან „ხიპუს მუხურამდე“ 10 ვერსის მანძილს და უკანასკნელში მდ. ჯუმის შენაკადიდან სოფ. დარჩელამდე 5 ვერსის მანძილს.

4) გრიგოლეთის სათევზაო სამრეწველოები შემდეგ საზღვრებში: შავ ზღვაში მდ. მოლთაქვის შესართავიდან აჭარისტანის ს. ს. რ. საზღვრებამდე და მდ. სუფსას სოფ სუფსამდე.

5) მდ. მდ. მტკვარი, ხრამი, დებედაჩაი და მაშავერი ტფილისის და ბორჩალოს მაზრების ფარგლებში.

რაც შეეხება დანარჩენ ტბებს და მდინარეებს, ასეთები, როგორც ადგილობრივი მნიშვნელობისა, გადაცემულია ადგილობრივ მაზრის აღმასკომების განკარგულებაში. მხოლოდ უკანასკნელნი ამ ნაკვეთების ექსპლოატაციის დროს ხელმძღვანელობენ ს. ს. ს. რ. მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ გამოცემულ, თევზის ჭერის საშუალებების და აკრძალულ პერიოდის შესახებ, წესებით.

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარი გ. სტურუა.

მიწათმოწყობის განყოფილების გამგე ი. ქვანია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის მხარკომის ბეჭდვითი სიტყვის ქვე-განყოფილება** ამით აცხადებს ამიერ-კავკასიის პარტიულ და საბჭოთა დაწესებულებათა საყურადღებოდ, რომ იგი შეუდგა ქართულ, სომხურ და თურქულ ენაზე შემდეგი წიგნების გამოცემას:

1) ვ. ნიკოლსკი—როგორ გამოვიყენოთ ნაკელი. 2) დ. მ. გედდი—ნიადაგის დამუშავება. 3) პროფ. ნ. კ. ნედოკუჩევი.—მიწათმოქმედების მოკლე სახელმძღვანელო 4) პ. პ. ზვორიკინი—მრავალწლიანი საკვები მცენარეობის კულტურა. 5) ნ. მ. კულაგინი—ფუტკრის ყრა (ბარტყობა) 6) ნ. მ. კულაგინი—ფუტკრის კვება. 7) ნ. მ. კულაგინი—ჩარჩოიანი სკების შერჩევა. 8) მ. ფ. ივანოვი—კვება და გასუქება შინაური ფრინველებისა 9) ქ. ა. ბოგდანოვი—როგორ გავაიაფოთ რძის წარმოება. 10) ვ. ა. ზარჩენკო—ხბოს გაზრდა და მოვლა 11) ე. ა. ბოგდანოვი—რა არის საკვების ნოყიერება. 12) ა. ა. გორლინოვი—ბაღებისა და ბოსტნების მავნებელნი.

— ს. კ. პ. ტ. ორგ-ის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ შაბათს, 16 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის ბინაზე (რუსთაველის პროსპ. № 22) მოწვეულია **ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი.** სავალდებულოა დაუგვიანებლად დასწრება რაიკომის ყველა წევრებისა და კანდიდატებისა.

ქალაქის რაიკომი.

— არსენალის რაიკომი იუწყება, რომ ქვემოდ დასახელებულმა ამხანაგებმა შეიტანეს რაიკომში განცხადება კომუნისტურ პარტიის რიგებში შესვლის შესახებ.

ყველა იმ ამხანაგებს და პირთ, რომელთაც აქვთ რაიმე მამხილებელი საბუთები ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების წინააღმდეგ, არსენალის რაიკომი სთხოვს 20 ამა თებერვლამდე წარმოადგინონ მასალები რაიკომში (მიხეილის ქ. 96).

ტრამვაის მუშები:—1) კოზაკოვი მიხეილ, 2) ორქოშვილი სერგო, 3) კალაშნიკოვი ფედორე, 4) ბონზაკი ალექსანდრე, 5) რევაზოვი გრიგორი, 6) კორზაძე სერგო. არსენალის მუშები: 1) ნაბიგრაშვილი ელიზბარი, 2) ეგიკოვი სიმონ, 3) ამირჯანოვ სუმბატ, 4 ტერ-გრიგუროვი, 5) აბულიანც ნიკოლოზ, 6) აბაზაძე, 7) კუშიანც ეგიმ.

2-ე საბჭოთა ქარხნის მუშები: 1) კოჭლამაზიანი ივანე, 2) ბერეჟნოვი მიხეილ, 3 ეგოროვი კონსტანტინე. სანიტარულ ტეხნიკურ განყოფილების მუშები: 1) ხიტაროვი ნერსესი, 2) მურალოვი გრიგორი. საზერხავი ქარხნის მუშები. 1) თედიაშვილი მიხეილ, 2 ნოვრაზაშვილი გრიგორი. მიხეილის საავადმყოფოს მუშა: 1) ტიბილოვ ალექსი, რ. ლიუქსემბურგის სახ. თამბაქოს ქარხნის მუშა—1) მანუკიანც აშოტ, მეტყავეთა იაჩეიკის ახკომკავშირის წევრი: 1) მოსესოვი ერვანდ. ახკომკავშირის წევრები: 1) ვართანოვი სარქის, 2) სარქისოვი სერგო, 3) ანიშჩუკი არკადი (იაჩეიკა № 25).

მდივანი—ნაზაროვი.

განცხადებები

ნინო ივანეს ასული და ნიკოლოზ ასლანის ძე მდივანი შვილებითურთ აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაცვალებულ მათი ძვირფასი შვილის და ძმის

სამა მდივანის

წირვა და ანდერძის აგება მოხდება კვირას 17 თებერვალს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. წირვა დაიწყება 10 საათზე დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

1—1 № 547.

ღრმად დამწუხრებულნი ირაკლი მიხეილის ძე მიქაძე, მარიამ სპირიდონის ასული მიქაძისა, შვილებით დავით, მათიკო, ია, შალვა და მერცია აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი პირველისათვის და, მეორესათვის მული და მესამეთათვის მამიდა

ნარო ლუკას ასული

მიქაძე-ჯაჯანიძისა

დაკრძალვა კვირას, 17 თებერვალს ქ. ქუთაისში. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი. ნის. 1—1.

ღრმად დამწუხრებულნი ქეთევან მიხეილის ასული გაფრინდაშვილი, შვილები ვარვარა, ვალერიან, დავით, ნინო და სიძე ალექსანდრე ეპიფანეს ძე კანდელაკი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველის ძვირფას დისა, დანარჩენი დეიდასი

ნარო (ალათი) ლუკას ასული

მიქაძე-ჯაჯანიძისა

დაკრძალვა კვირას, 17 თებერვალს, ქ. ქუთაისი გენერალის ქუჩა საკუთარი სახლი. 582. 1—1

ვ. ი. ლენინის სახელობ.
სახელმწ. აკადემიური
ოპერის თეატრი

ნის. 894 2—2

შაბათს, 16 თებერვალს
პროფკავშირებისათვის
კარმენ
კვირას, 17 თებერვალს,
გუგენოტები
ანონსი: ოთხშაბათს, 20 თებერვალს:
დაისი
მზადდება დასადგმელად **ლოენგრინი**

კვირას, თებერვლის 17-ს გადიდებული სახით **გამოვა მორიგი ნომერი ორკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო და საილუსტრაციო ჟურნალი**

„დროშა“

№ 8. მ. კახიანის რედაქციით.

ჟურნალში მოთავსებულია სამხატვრო-სალიტერატურო მასალები და მრავალი და სურათები საქართველოს და ამიერ-კავკასიის ცხოვრებიდან.

გამომცემელი: ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა.

მისამართი: **ლორის მელიქოვის ქ. № 5.** ნის. 900. 2—1

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო

გამომცემლობა

აცხადებს საბჭოთა დაწესებულებების, სხვადასხვა ორგანიზაციების და კერძო პირთა საყურადღებოთ, რომ თანახმად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებულ კომისიის დადგენილებისა,

სახელმწიფო გამომცემლობის გამოცემანი გაიაფებულია ა. წ. 1 თებერვლიდან 25%.

პროვინციას და ადგილობრივ პროფკავშირებს, პარტორგანიზაციებს, სკოლებს, ადგილკომებს და მაღაზიებს ეძლევათ 30 პროც. ფასდაკლებით, ბითუმად ნაყიდ წიგნებზე. პროფკავშირებს, კოოპერატივებს, პარტორგანიზაციებს, სკოლებს, ადგილკომებს და სხვა დაწესებულებებს **შეუძლიათ წიგნები შეიძინონ ნისიად—სამი თვის ვადით ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით.**

შეკვეთა მიიღება პირადათ და წერილობით (ფოსტით). ყოველივე შეკვეთას რესპუბლიკის ფარგლებში სახელმწიფო გამომცემლობა ასრულებს

დაუყოვნებლივ, და შეღავათიან პირობებში.

გადაგზავნა ხდება შემკვეთის ხარჯზე. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება **სახელგამის წიგნის მაღაზიაში** რუსთაველის პროსპექტი № 11. ტელ. 3—89. (კრ. 896—2—1)

ამინდი ამიერ-კავკასიაში

14 თებერვალი, დილის 7 საათი.

ტემპერატურა (ცელსიით): ფოთი... 8 გრ., სოხუმი 7 გრ., ბათომი... 6 გრ., სამტრედია... 5 გრ., ქუთაისი... 9 გრ., ჭიათურა... 5 გრ., წიფა... 1 გრ., აჯამეთი 6 გრ., ბორჯომი... 4 გრ., სურამი... 1 გრ., მუხრანი... 1 გრ., ტფილისი... 1 გრ., მუკუზანი... 0 გრ, ერევანი... 1 გრ., ბაქო... 6 გრ.

ღრუბლიანობა: ბორჯომში, ტფილისში, მუკუზანში, ბაქოში—სრული. ბათომში, მუხრანში, ერევანში—მეტად საგრძნობი. დანარჩენ ადგილებში მცირე ან სულ მოწმენდილია.

ქარის ქროლა: ფოთში—აღმოსავლეთის-ჩრდილოეთ - აღმოსავლეთის, ზომიერი. აჯამეთში—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, ძლიერი. დანარჩენ ადგილებში ნელი ან სულ არ ქრის.

ნალექი: არსად არ ყოფილა.

ზღვის მდგომარეობა [illegible]: ფოთში, ბათომში, [illegible]—სიწყნარეა. ბაქოში—ზომიერი ღელვა.

ამინდი საქართველოში: ძლიერი ქარი მდინარე რიონის ხეობაში. ყინვები აღმოსავლეთ საქართველოში.

ჩრდილოეთ-კავკასია.

14 თებერვალი, დილის 7 საათი.

კაზბეგი. ტემპერატურა:—4 გრ., სრული ღრუბლიანობა, ქრის სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი.

კიზლიარი. ტემპერატურა:—1 გრ., სრული ღრუბლიანობა, ქრის აღმოსავლეთის ზომიერი ქარი.

ტფილისი

15 თებერვალი, დღის 1 საათი.

ტემპერატურა: 10 გრ., მეტად საგრძნობი, ღრუბლიანობა, ქრის სამხრეთის ნელი ქარი.

სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს
სავალდებულო დადგენილება
№ 31
1924 წლის თებერვლის 13.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ფარგლებში იმ საამშენებლო არტელების, კანტორების, მოიჯარადრეების და სხვ. რეგისტრაციის შესახებ:

1. ყველა საამშენებლო წარმოებების სწორად აღნიშვნის მიზნით, საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო წინადადებას აძლევს ყველა საამშენებლო არტელებს, კერძო ტეხნიკურ-საამშენებლო კანტორებს და მოიჯარადრეებს, რომლებიც საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ფარგლებში საამშენებლო მუშაობას ახდენენ, გამოცხადდნენ ს. მ. უ. ს. ეკონომიურ განყოფილებაში რეგისტრაციაში გასატარებლად არა უგვიანეს 1924 წლის მარტის 15-ისა.

შენიშვნა: ზემოთ აღნიშნული საამშენებლო წარმოებანი, რომლებიც მუშაობას ახდენენ ქ. ტფილისში ან მის ახლო ადგილებში, რეგისტრაციაში ტარდებიან ს. მ. უ. ს. ეკონომიურ განყოფილებაში, ისინი-კი, რომლებიც მუშაობას ახდენენ რესპუბლიკის სხვა ადგილებში, სათანადო კომუნალურ განყოფილებებში.

2. რეგისტრაციის დროს საჭიროა წარმოდგენა აღმშენებელთა კავშირის ნებართვისა.

3. ეკრძალება ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს გასცენ საამშენებლო მუშაობა იმ არტელებზე, კანტორებზე, მოიჯარადრეებზე და სხვა, რომლებიც არ გატარებულან რეგისტრაციაში ს. მ. უ. ს. ეკონომიურ განყოფილებაში და არა აქვთ სათანადო მოწმობები.

4. ის პირნი და დაწესებულებანი, რომლებიც არ შეასრულებენ ამ დადგენილებას, დაჯარიმებული იქნებიან 100 მ. ჩერვონ. გარდა ამისა კერძო კანტორებს და მოიჯარადრეებს წაერთმევა მომავალში მუშაობის წარმოების უფლება.

5. ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე **ამაკობი.**

კრ. 823 1—1. აღმშენებელ კავშირის თავმჯდომარე **აღლაძე.**

დადგენილება
საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმისა
№ 32
1924 წ. თებერვლის „13“

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის № 29 დადგენილების (სავაჭრო საქონლის ნიშნების მოწესრიგების და ფალსიფიკაციასთან ბრძოლის მიზნით გამოცემულის) სათანადო ცხოვრებაში გატარებისათვის, ს. მ. უ ს. პრეზიდიუმი ადგენს:

1) ყველა ვაჭარ-მრეწველნი, რომელნიც ხმარობენ საქონლის ნიშნებს: ეტიკეტებს, იარლიკებს, სავაჭრო მარკებს, შტამპებს და სხვას, წარუდგენენ მათ დასაბეჭდათ სტამბებს მხოლოდ მის შემდეგ, რაც ს. მ. უ ს. ეკონომიური სამმართველო დაამტკიცებს ამ ნიშნებს, ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის № 29 დადგენილების თანახმად.

2) ყველა სტამბებს, ლითოგრაფიებს და სხვა პოლიგრაფიულ დაწესებულებებს, ვის განკარგულებაშიაც არ უნდა იყვნენ უკანასკნელნი, შეუძლიათ დაიწყონ ბეჭდვა ამ ნიშნებისა მხოლოდ იმის შემდეგ, როცა დარწმუნდებიან, რომ იგინი დამტკიცებულნი არიან ს. მ. უ. ს. ეკონომიურ სამმართველოს მიერ, ზემოხსენებულ № 29 დადგენილების თანახმად.

3) ამ დადგენილების დამრღვევნი პასუხს აგებენ სასამართლოს წინაშე ს. ს. ს. რ. სისხ. სამ. კოდექსის მე-145 მუხლის თანახმად.

საქართველოს ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მოადგილე **აგაქოვი.**

ეკონომიურ სამმართველოს კოლეგიის თავმჯდ. მოადგილე **სტურუა.**

კრ. 895. 2—1.

საქართველოს კოოპერატიული კავშირის—ცეკავშირის საბანკო განყოფილება

ღებულობს ანაბარს ვადიანს, უვადოს და მიმდინარე ანგარიშზე ამიერ კავკასიის ფულის ნიშნებით ჩერვონეცის კურსის მიხედვით და აგრეთვე ჩერვონცებით როგორც კოოპერატიულ, პროფესიონალურ და სხვა საზოგადო ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე კერძო პირთაგან.

იღებს ფულს გადასაგზავნად საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ყველა ქალაქებში. ფულის გადაგზავნა შეიძლება ჩერვონცების კურსის მიხედვითაც.

3—1 ნის. № 894.

დავკარგე საწევრო წიგნაკი 412392 | 5898 მიღებული ტფილისის დეპოს ადგილკომიდან სამსონ თხილავას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს 1—1 № 549

დავკარგე კონსტანტინე დოლიძის სახლის (იურევის ქ. № 30) წიგნი № 12867. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1. № 550.

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 912 გაცემული მე-2-ე უბნის სამხედრო მაგიდის უფროსის მიერ დავით ა. გელოვანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1 № 551.

სამემოსავლო გადასახადი

ა.-კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში ამით აცხადებს სახელმწიფო სამემოსავლო გადასახადის გადამხდელთა საყურადღებოთ შემდეგს:

1) რესპუბლიკის ყველა საფინანსო რაიონების სამემოსავლო გადასახადის გადამხდელთათვის უკვე დაგზავნილია ხარჯის ფურცლები. გადამხდელებმა, რომელთაც არ მიუღიათ ასეთები, უნდა მიმართონ მათზე გაწერილ გადასახადის რაოდენობის გასაგებათ იმ რაიონის ფინინსპექტორის კანცელარიას, რომლის რაიონშიაც ისინი ცხოვრობენ.

2) გადასახადი შეტანილი უნდა იქნეს ხაზინაში არა უგვიანეს 1924 წლის 1-ლ მარტისა, ამ ვადის შემდეგ ასეთი გადახდილი იქნება საურავის დარიცხვით.

3) სამემოსავლო გადასახადის სარაიონო კომისიის დადგენილებაზე შესახებ დაბეგვრის ხარისხების და გაწერილ გადასახადის რაოდენობისა გადამხდელს შეუძლია შეიტანოს საჩივარი რესპუბლიკანურ სამემოსავლო გადასახადის კომისიაში ორი კვირის განმავლობაში დღიდან ფინინსპექტორის მიერ ხარჯის ფურცლების დაგზავნის დროის გამოცხადებისა. საჩივრები უნდა შეტანილი იქნეს სამემოსავლო გადასახადის სარაიონო კომისიის თავმჯდომარესთან რესპუბლიკანურ კომისიის სახელობაზე 2 მან. საღერბო გადასახადის გადახდით. საჩივარი არ აჩერებს გადასახადის ხაზინაში შეტანას და ვადის შემდეგ შეტანილი საჩივარი განხილული არ იქნება.

ა. კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში თ. ღლონტი. გადასახადთა განყოფილების მმართველი ი. ნიკოლაძე.

პირდაპირ გადასახადთა ქვე განყოფილების გამგე ა. ბეზირგანიშვილი. კრ. 898 1—1

„ზარია ვოსტოკის“ სტამბა, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.